ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 99
(11 556)

18 – 20 დეკემბერი, 2001 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# გაზეთის დაბეჭდვის წინ:



ფიგუ



## ფიგუ წლის საუკეთესო ფეხბურთელი!

ფიფამ წუხელ დაასახელა 2001 წლის საუკეთესო ფეხბურთელი. ესაა მადრიდის „რეალის“ მოთამაშე ლუიშ ფიგუ. გამოკითხვაში მან გადაუსწრო დევიდ ბექჰემს („მანჩესტერ იუნაიტედი“) და თავის თანაგუნდელ რაულს. ჩემპიონთა ლიგის პირველ ოთხ მატჩში ფიგუმ გაიტანა სამი გოლი, ამასთან პორტუგალიის ნაკრებს დაეხმარა 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში. ასე რომ, იგი საუკეთესოდ აღიარეს ძირითადად ამ ორი კრიტერიუმით (როგორც კლუბის და ნაკრების შედეგიანი ფეხბურთელი).

## ტურნირის პრიზიორები



დავით ოთიაშვილი



ოთარ თუშიშვილი

გუშინ ვლადიკავკაზში დასრულდა თავისუფალ ჭიდაობაში ოლეგ ნანიევის ხსოვნის დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიაც საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით მონაწილეობდა.

როგორც საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაშვილმა გვაცნობა, ტურნირში მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ორმა ქართველმა ფალავანმა, გორელმა ოთარ თუშიშვილმა (63 კგ) და მძიმე წონაში თბილისელმა დავით ოთიაშვილმა.

სოხუმელი ელდარ კურტანიძე ასპარეზობას მძიმე ტრავმის შემდეგ გამოეთიშა. მანამდე მან მთავარი ორთაბრძოლა უკრაინელ ტასუევთან თავის სასარგებლოდ დაამთავრა. ეს ის ფალავანია, რომელთანაც ელდარი მსოფლიო ჩემპიონატში დამარცხდა.

## ოუენს — «ოქროს ბურთი»



ოუენი

„ლივერპულის“ და ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი მაიკლ ოუენი ევროპის წამყვან სპორტულ გამოცემათა ჟურნალისტების გამოკითხვით, აღიარებულია კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად, რომელმაც 176 ქულა მოაგროვა. შემდეგ მოდიან: 2. გონსალეს რაული (ესპ. „რეალი“) – 140, 3. ოლივერ კანი (გერმ. „ბავარია“) – 114, 4. დევიდ ბექჰემი (ინგლ. „მანჩესტერი“), 5. ფრანჩესკო ტოლდო (იტ. „რომა“) – 57, 6. ლუიშ ფიგუ (პორტუგ. „რეალი“) – 56, 7. რივალდო (ბრაზ. „ბარსელონა“) – 20, 8. ანდრეი შევჩენკო (უკრ. „მილანი“) – 18, 9-10. ტერი ანრი (საფრ „არსენალი“) და ზინედინ ზიდანი (საფრ. „რეალი“) – 14-14.

### ადრე „ოქროს ბურთს“ ფლობდნენ:

1990 წ. — მათეუსი
1991 — პაპენი
1992 — ბასტენი
1993 — ბაჯო
1994 — სტოიჩკოვი
1995 — ვეა
1996 — ზამერი
1997 — რონალდო
1998 — ზიდანი
1999 — რივალდო
2000 — ფიგუ
2001 — ოუენი.

# გამოძახილი...

მუხრან ვახტანგაძის ბრწყინვალე წარმატების შემდეგ, მსოფლიო ჩემპიონისა და ჩვენი ხელმძღვანელი სპორტული ორგანიზაციების სახელზე ბევრი მოლოცვა მოვიდა ფაქსით და ელექტროფოსტით „ლელოს“ რედაქციაში, მათ შორის საბერძნეთის, გერმანიის, ინგლისისა და შოტლანდიის, უკრაინის საელჩოებიდან. მ. ვახტანგაძის გამარჯვებით გულით გაიხარა ჩვენი ქვეყნის საფეხბურთო სამყარომაც, რომელთა განწყობა სფფ-ს იმ მილოცვაშია გადმოცემული, რომელსაც აქვე გთავაზობთ:

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარეს
ირაკლი მეძმარიაშვილს

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს
ჯანო ბაგრატიონს

პატივცემულო ბატონებო!

გულითადად გილოცავთ ქართული სპორტის კიდევ ერთ დიდებულ გამარჯვებას.

მოკრივე გიორგი კანდელაკის კვალად, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს სპორტის ისტორიაში, ოლიმპიურ სახეობაში პირველად გახდა მსოფლიოს ჩემპიონი, ქართულმა სპორტმა 2001 წელს ისევ მოიპოვა დიდი წარმატება. ძალოსან გიორგი ასანიძისა და, სულ ახლახან, მუხრან ვახტანგაძის ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში მოპოვებული მსოფლიო ჩემპიონის ტიტული, საქართველოს კვლავ ჩააყენებს მსოფლიო სპორტში მოწინავე ქვეყანათა რიგში, რაც მისაბაძი და ორმაგად სასიხარულოა.

ქართულ სპორტს, დამდეგ ახალ წელს ვუსურვებთ შემდგომ წარმატებებს. გვჯერა და ვიმედოვნებთ, რომ შორს არაა ის დრო, როცა ქართველი სპორტსმენები დამოუკიდებელ საქართველოსა და ქართული სპორტის ისტორიაში, პირველად მოიპოვებენ ოლიმპიურ ოქროს!

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სახელით,

მ. ჟორდანია, პრეზიდენტი,
ვ. ჩოლარია, გენერალური მდივანი

## ხორკინა და მიხაელ შუმახერი — ევროპაში საუკეთესონი

გუშინ ცნობილი გახდა, რომ ევროპის საუკეთესო ტანმოვარჯიშედ დასახელებულია რუსი სვეტლანა ხორკინა. სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვით მეორე ადგილზე გავიდა ხორვატი სამთო მეთხილამურე იანა კოსტელიჩი, მესამეზე — უკრაინელი მძლეოსანი ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი.



ხორკინა

ვაჟთა შორის ევროპაში 2001 წლის საუკეთესო სპორტსმენის სახელი წილად ხვდა „ფორმულა-1“-ის პილოტ მიხაელ შუმახერს, მეორეა თხილამურებით ტრამპლინიდან მხტომელი, პოლონელი ადამ მალიში, მესამე — ავსტრიელი სამთომეთხილამურე გერმან მაიერი.



მიხაელ შუმახერი



## ნბა

ტორონტო — ვაშინგტონი

6

## 5 ცნობილ საფეხბურთო მწვრთნელთა აღზევება და დაცემა

## ჰოლანდიის საელჩოს შესანიშნავი თაოსნობა! 2



## გიორგი ასანიძე — მთავარი მსაჯი 2

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია, ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის თვალსაჩინო მოღვაწე, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენოსანი, პროფესორი

ავთანდილ ციბაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამ ორგანიზაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, სეოკ-ის წევრი, წლების განმავლობაში აღმასკომის წევრი, ოლიმპიური აკადემიის რექტორი დაარსების დღიდან, პროფესორი

ავთანდილ ციბაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ATHENS 2004
CANDIDATE CITY

მომავალ ოლიმპიურ თამაშებამდე 2 წელიწადი და 8 თვე დარჩა

SALT LAKE 2002

ზამთრის XIX ოლიმპიურ თამაშებს 52 დღე გვაშორებს

8–24 თებერვალი 2002 წ.

# ჰოლანდიის საელჩოს მაგალითს თუ სხვებიც მიბაძავენ...

თუ კაცი მოინდომებს, ჩვენს დუხჭირ ცხოვრებაშიც შეიძლება ყოფის გალამაზება. იმ ღონისძიებამ, რომელიც კვირას ჩატარდა თბილისის ჭადრაკის სასახლეში, მის ყველა მონაწილეს მართლაც დაავიწყა ჩვენი ყოველდღიურობა, რაშიაც დიდია საქართველოში ახალგახსნილი ჰოლანდიის საელჩოს დამსახურება. საქართველოსა და ჰოლანდიას მთელ მსოფლიოში იცნობენ, როგორც საჭადრაკო ქვეყნებს. ამდენად ფრიად საინტერესო იყო ჰოლანდიის საელჩოს თაოსნობა ჰოლანდია – საქართველოს მეგობრობის საჭადრაკო ფესტივალის ჩასატარებლად. ჰოლანდიის საელჩო იყო ფესტივალის ორგანიზატორიც და სპონსორიც – პრიზად გამოჰყო 3500 ლარი.

ფესტივალში მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის 80-მდე სხვადასხვა ასაკის მოჭადრაკე, გარდა ამისა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ნონა გაფრინდაშვილმა ერთდროული სეანსი ჩაატარა ჭადრაკის მოყვარულებთან.

16 წლიანთა ასპარეზობაში უძლიერესის სახელი გოგონათა შორის მოიპოვა სოფიკო ხუხაშვილმა, ბიჭებიდან – კონსტანტინე შანავამ. 20 წლიანებში გოგონებიდან პირველი იყო ანა მათნაძე, ბიჭებიდან – ლევან აროშიძე. ქალებიდან ყველას აჯობა თამარ ხმიადაშვილმა, ვაჟებიდან – არჩილ წერეთელმა.

დაჯილდოება, პრიზების და ფულადი ჯილდოების გადაცემა საზეიმოდ მოეწყო. ცერემონიალს კი თელავის მომღერალ ბავშვთა გუნდი ალამაზებდა პავლე დემურიშვილის ხელმძღვანელობით. იმ დღეს, ამ ბავშვებმა, პირველად შეასრულეს ნონა გაფრინდაშვილისადმი მიძღვნილი სიმღერა „ნონა, ნონა, ნონა". ელჩის თანაშემწემ ბოი ფრანკმა, რომელიც ჭადრაკის დიდი მოყვარული და ნონას გულშემატკივარი ყოფილა, ჩვენს სახელოვან ქალბატონს დიდი ტილო აჩუქა ნონას პორტრეტით.

მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს, საქართველო – ქართულ სპორტს!

## ძალოსანთა შეჯიბრებას გიორგი ასანიძე თავკაცობდა

რობერტ ბაგოთანის ფოტო



გიორგი ასანიძემ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემია დაამთავრა და მშობლიურ სასწავლებელთან კავშირი არ გაუწყვეტია. ოლიმპიური თამაშების პრიზიორი, ევროპის ორგზის და მსოფლიო ჩემპიონი, ამ დღეებში აკადემიის ძალოსანთა ასპარეზობას თავკაცობდა. სპორტკლუბს (თავმჯდომარე ჰ. ათაბეგოვი) გადაწყვეტილი აქვს აკადემიის პირველობა მომავალში უფრო მასშტაბური გახადოს. ფაქტობრივად, ეს იქნება სასწავლებლის ღია ასპარეზობა, რომელიც ყოველი წლის ბოლოს გაიმართება, რითაც ჩვენს ძალოსნებს, შესაძლებელია მოწვეულებსაც, კიდევ ერთხელ მიეცეთ ძალის შემოწმების საშუალება.

ამჯერად აკადემიის ჩემპიონები, ორჭიდში, წონითი კატეგორიების მიხედვით გახდნენ: ომარ კირვალიძე (62 კგ) – 210 კგ, გიორგი დვალი (69) – 200, ელდარ ზოიძე (77) – 205, გელა ბაზაძე (85) – 305, კობა კურტანიძე (94) – 225, ზურაბ კირვალიძე (105) – 315, ავთანდილ ცერცვაძე (+105) – 300.

**ნიკოლოზ ზუბიტაშვილი,**
**აკადემიის ჭიდაობისა და ძალოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი.**

დაასახელეთ ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი

"მაგთი GSM"
2001 წლის 30 დეკემბერს
ზ. ფალიაშვილის სახ. "ოპერისა და ბალეტის" სახელმწიფო აკადემიურ თეატრში
წარმოგიდგენთ: ათწლეულის საუკეთესო სპორტსმენთა
დაჯილდოების ცერემონიას "რაინდები".
ორგანიზატორები:
"საქართველოს ტელე-რადიო კორპორაცია",
სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი, შ.პ.ს. "ვერიტა".
საინფორმაციო მხარდამჭერი:
ლელო სარბიელი ოლიმპი
გენერალური სპონსორი
მაგთი MAGTI GSM
დას. 18.00 სთ-ზე

საკონტაქტო ტელეფონი: 99 56 14
მობ: 8 99 17 84 44
E-mail: gazeti_lelo@hotmail.com

ანკეტა გამოაგზავნეთ „ლელოს" რედაქციაში, ან თქვენი ვარიანტი შეგვატყობინეთ ტელეფონით 99-56-14. ისარგებლეთ აგრეთვე მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართით.

## აჭარის თასზე ფარიკაობაში

ბათუმის ბავშვთა და მოზარდთა კომპლექსური სკოლის დარბაზში დასრულდა აჭარის 2001 წლის თასის გათამაშება ფარიკაობაში, რომელშიც ორმოცამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ხმლით მოფარიკავეთა შორის ფინალში საქართველოს ხუთგზის ჩემპიონმა, საქართველოს ეროვნული ნაკრების წევრმა ირაკლი ზამბახიძემ ბათუმის უმაღლესი სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯის მეორეკურსელ გოგიტა ბერიძეს მოუგო – 15:10, მესამე ადგილი ბათუმის 22-ე საშუალო სკოლის მოსწავლემ ლაშა მიქელაძემ მოიპოვა.

დაშნით ფარიკაობაში პირველ ადგილზე გავიდა ბათუმის მეორე ექსპერიმენტული სკოლის მოსწავლე თამარ სიხარულიძე, რომელმაც 15:14 აჯობა თანაგუნდელ ციალა ხუხუნაიშვილს, მესამეზეა ალექსანდრა ტოკარევა.

როგორც ყოველთვის, დიდი ინტერესი გამოიწვია რაპირისტთა პაექრობამ. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ბათუმის უმაღლესი სახელმწიფო პედაგოგიური კოლეჯის სტუდენტმა, ჩვენი ქვეყნის ნაკრები გუნდის წევრმა ირაკლი ჭელიძემ, მან ფინალში დაამარცხა ანდრეი ბრაკალოვი, მესამე შედეგი აჩვენა სერგეი აკაევმა. ქალთა შორის ფინალში ერთმანეთს დები რუსუდან და ელენე საფარიძეები შეხვდნენ. გაიმარჯვა უფროსმა დამ რუსუდანმა, მესამეზეა – თინა ბოლქვაძე.

საუკეთესო სპორტსმენებისაგან დაკომპლექტდა აჭარის ნაკრები, რომელიც თბილისში საქართველოს პირველ გუნდურ ჩემპიონატში იასპარეზებს.

**ოთარ მურვანიძე,**
**გაზეთ „ლელოს" საკუთარი კორესპონდენტი აჭარაში**

### ანკეტა

დამოუკიდებელი საქართველოს, ყველაზე პოპულარული სპორტის ათი სახეობა, ათი საუკეთესო სპორტსმენი.

| სახეობები: | სპორტსმენები: |
|---|---|
| 1. | 1. |
| 2. | 2. |
| 3. | 3. |
| 4. | 4. |
| 5. | 5. |
| 6. | 6. |
| 7. | 7. |
| 8. | 8. |
| 9. | 9. |
| 10. | 10. |

ათწლეულის საუკეთესო გუნდი: ____________

გვარი, სახელი ____________

ასაკი ____________

**სპორტი რეგიონებში**



## მესხი ჭაბუკები ხელშენყობით მძლავრდებიან

მესხეთში ჭიდაობის აღორძინების სასიკეთო ტენდენციებზე არაერთხელ დაგვიწერია და ამჯერადაც გვინდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ჩვენი ქვეყნის ამ ძირძველი კუთხის ჭაბუკებმა საქართველოს მასშტაბით გამართულ კიდევ ერთ ასპარეზობაში — კულა გლდანელის ხსოვნისადმი მიძღვნილ ტურნირში იასპარეზეს წარმატებით. ეს ჭაბუკები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის მოჭიდავეთა საბაზო გუნდის წევრები არიან. ფილიალის დირექტორი მერაბ ბერიძე, გუბერნატორის მოადგილე მალხაზ ხოშტარია და ბიზნესმენი ავთანდილ თათეშვილი მხარში უდგანან სამცხე-ჯავახეთის ჭიდაობის რეგიონულ ფედერაციას, რომლის პრეზიდენტი ზაზა ჩილინგარაშვილი თავადაა ნიჭიერი მწვრთნელი და მის სახელს უკავშირდება ამ მხარეში ჭიდაობის ტრადიციების აღორძინება.

ამჯერად კ. გლდანელის ტურნირში პირველობა მოიპოვეს ახალციხელებმა: ნუკრი ნადიბაიძემ (26 კგ), დავით თათეიშვილმა (31 კგ), ირაკლი აფრიამაშვილმა, მეორე პრიზიორები გახდნენ ირაკლი კურტანიძე (26), თორნიკე თათეშვილი (35), თემურ კურტანიძე (38), მესამე ადგილი წილად ხვდათ ზაზა ზედგინიძეს (29), ზურაბ ვანეიშვილს (32), კახა კუსიანს (35) და ვახტანგ თათეშვილს (58).

*სურათზე: გამარჯვებულები და პრიზიორები მესხეთიდან მწვრთნელ ზაზა ჩილინგარაშვილთან ერთად.*

## ხსოვნის ტურნირი საერთაშორისო სტატუსით

ბათუმში, ოქტომბრის შუა რიცხვებში დაიწყო და ახლახან დასრულდა ნორჩ ფეხბურთელთა საერთაშორისო ტურნირი (1989-1990 წლებში დაბადებულთათვის), რომელიც ბათუმის დინამოს ნახევარმცველის, სპორტის ოსტატის ჯონი კაკალაძისა და ბათუმის საბაჟოს ფეხბურთელთა გუნდის ტექნიკური დირექტორის ალეკო ფევაძის ხსოვნას მიეძღვნა.

მონაწილე რვა გუნდი ორ ქვეჯგუფად დაიყო. აქ გამარჯვებულები და მეორე ადგილზე გასულები მეორე ეტაპზე დაუპირისპირდნენ ერთმანეთს.

მესამე საპრიზო ადგილისათვის სომხეთის წარმომადგენლებმა — ერევნისა და ქალაქ აშტაკარის ნორჩმა ფეხბურთელებმა იბრძოლეს. ანგარიშით 2-0 გაიმარჯვეს ერევნელებმა. ფინალში კი ბათუმის საფეხბურთო სკოლის პირველმა გუნდმა ბათუმის დინამოს ასევე პირველ გუნდს აჯობა მინიმალური ანგარიშით 1-0 (სკოლის დირექტორი გია ჯორბენაძე, მწვრთნელი გია ჩიგოგიძე).

ტურნირის საუკეთესო მოთამაშეების პრიზები ერგოთ: მეკარის — ნუკრი მახარაძეს (ბათუმის საფეხბურთო სკოლა I), მცველის — თემურ ჩაზმავას, ნახევარმცველის — ლაშა სიხარულიძეს, თავდამსხმელის — გიორგი ბერიძეს, ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის — თორნიკე ბერიძეს (ყველა — ბათუმის „დინამო I"), გოლეადორის — არტურ მანასიანს, მაყურებელთა სიმპათიის — არმენ თათევოსიანს (ორივე — „აშტაკარი"), სტაბილური მოთამაშის გიორგი გაბუნიას, მებრძოლი ფეხბურთელის — დათო მიქაბერიძეს, ყველაზე ტექნიკურის — ბაქარ მეავანაძეს (ყველა — საფეხბურთო სკოლა I).

**ოთარ მურვანიძე,**
**გაზეთ „ლელოს" კორესპონდენტი აჭარაში**

ლელო 2002 წლისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობები ინტერნეტის სამყაროდან

## ოლიმპიური ფარიკაობის პროგრამა შეიცვალა

2004 წლის ოლიმპიურ თამაშებში ფარიკაობის პროგრამა კარდინალურად შეიცვლება. ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც გაიმართა კუბაში. ათენში, 2004 წელს ისევ მედლების 10 კომპლექტი გათამაშდება, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში პირველად შეიტანენ ქალთათვის ხმლით ასპარეზობას, რომელიც ბოლო ხანებში სულ უფრო პოპულარული ხდება. სოკ-მა ჯერ კიდევ ფედერაციის კონგრესამდე მოიწონა ეს გადაწყვეტილება, მაგრამ ფედერაცია გააფრთხილეს, რომ მედლების დამატებითი კლმპლექტი არ გათამაშდება. გამოდის, რომ ფედერაციამ რომელიმე სხვა იარაღი უნდა გაწიროს და ამოაგდოს პროგრამიდან. ფედერაციამ კი ბევრი ფიქრის შემდეგ, რათა შეენარჩუნებინა თანასწორობა, გადაწყვიტა კარდინალურად შეცვალოს გუნდური პირველობის პროგრამა. ადრე ტარდებოდა 5 პირადი და ამდენვე გუნდური შეჯიბრება. 2004 წელს ჩატარდება 6 პირადი (დაემატება ქალთა ხმალი) და ოთხი გუნდური შეჯიბრება. გუნდური ასპარეზობა იქნება შერეული და შემცირდება პრინციპით: ორი ხმლით მოფარიკავე ვაჟი და ორი – ქალი, ამავე პრინციპით დაკომპლექტდება გუნდები რაპირასა და დაშნაში.

## ბილეთები, ბილეთები...

2002 FIFA WORLD CUP KOREA JAPAN

2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის იაპონელმა ორგანიზატორებმა განაცხადეს, რომ H ჯგუფში იაპონიის ნაკრების მატჩებზე ყველა ბილეთი გაყიდულია. ეს ეხება ინგლის-არგენტინის და ჯგუფური ტურნირის ორ დარჩენილ შეხვედრას, რომელშიც მონაწილეობს ინგლისის ნაკრები. გაყიდულია აგრეთვე ყველა ბილეთი 1/8, 1/4 და ნახევარფინალურ მატჩებზე, რომლებიც იაპონიის ქალაქებში ჩატარდება.

## ფიფამ „ფეირ-პლეი" დი კანიოს მიანიჭა




იტალიელი პაოლო დი კანიო გახდა „ფეირ-პლეის" პრიზის მფლობელი 2001 წელს. გუშინ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ფიფამ ციურიხში. დი კანიოს, რომელიც თამაშობს ინგლისის „ვესტ-ჰემში" ეს საპატიო პრიზი მიენიჭა იმისათვის, რომ მან „ევერტონის" ცარიელ კარში არ გაიტანა გოლი მას შემდეგ, რაც შენიშნა, რომ ტრავმის შემდეგ მეკარე ზეზე ვერ წამოდგა.

აიღო რა ბურთი ხელში, დი კანიომ მსაჯს შესაძლებლობა მისცა შეეწყვიტა თამაში და ექიმებს დახმარება აღმოეჩინა ლივერპულელი ფეხბურთელისათვის.

## სოკ-მა უარი თქვა თავის რიგებში ნადია კომანეჩის მიღებაზე

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა უარი განაცხადა განიხილოს წარსულში ცნობილი რუმინელი ტანმოვარჯიშის ნადია კომანეჩის კანდიდატურა სოკ-ის წევრად მის გახდომასთან დაკავშირებით. მიზეზად სახელდება ის, რომ კომანეჩი არ ცხოვრობს რუმინეთში, რომელმაც წამოაყენა მისი კანდიდატურა. რუმინეთის ეოკ-ი თავისას არ იშლის და აცხადებს, რომ კომანეჩს რუმინეთში გააჩნია ქონება, რის გამო მისი კანდიდატურის წამოყენება კანონიერია.

სოკ-ის წევრად, როგორც წესი, ირჩევენ ამა თუ იმ პიროვნებას მისი კანდიდატურის წამომყენებელი ქვეყნისათვის. კომანეჩი კი, როგორც ითქვა, საზღვარგარეთ ცხოვრობს. აბსურდული პრეტენზია გამოთქვა კომანეჩმა ტელევიზიით, რომ მისი კანდიდატურა წამოაყენა არა რუმინეთმა, არამედ რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა (?!)

კომანეჩი 1989 წელს გაიქცა რუმინეთიდან და მას შემდეგ ცხოვრობს ოკლახომაში, სადაც ქმართან ერთად (ისიც ყოფილი ტანმოვარჯიშე) ბავშვთა ტანვარჯიშულ სკოლას ხელმძღვანელობს.

ამერიკის მოქალაქეობა კომანეჩმა წლეულს, ივლისში მიიღო.

## ფეხბურთელმა პოლიციელი დაინახა და... ტყეს შეაფარა თავი

ეს ამბავი ბელგიაში მოხდა. თამაშობდნენ ქ. ლიმბურგის გუნდები „ექსელი" და „ხასელეტი". თამაშის დროს სტადიონზე გამოჩნდა პოლიციელი მანქანით, რომელიც შენიშნა თუ არა „ხასელიტის" ერთმა ფეხბურთელმა, მთელი მოედანი გადაკვეთა და ახლომდებარე ტყეს შეაფარა თავი. ამ ფეხბურთელის გვარს არ ამჟღავნებენ. ის თურმე სამი წელიწადია არარეგალურად თამაშობს ხსენებულ გუნდში და წინა დღეებში უკანასკნელი გაფრთხილება მიუღია ხელისუფალთაგან დაეტოვებინა ქვეყანა. პოლიციელის გამოჩენამ ამიტომ შეაშინა.

არადა, ის პოლიციელი თურმე მეტოქე გუნდის მოთამაშე ყოფილა და ვინაიდან იმ დღეს მორიგეობდა, გვიან მხოლოდ მატჩის სანახავად მივიდა.

## ანრის სახლი გაძარცვეს

ტიერი ანრი



ლონდონის პოლიცია იუწყება, რომ ამ ცოტა ხნის წინათ გაძარცვეს „არსენალის" ფორვარდის და საფრანგეთის ნაკრების წევრის ტიერი ანრის ბინა. ეს ამბავი ახლა შეიტყო ინგლისის პრესამ. როცა მძარცველები ფრანგი ფეხბურთელის ბინაში შევიდნენ, მათ იქ დახვდათ დამლაგებელი, რომელიც სცემეს და გაკოჭეს, ამის შემდეგ ბანდიტებმა წაიღეს მთელი რიგი ნივთები, რომელიც ფეხბურთელს ეკუთვნოდა. სკოტლენდ იარდი დღემდე უშედეგოდ ეძებს დამნაშავეებს. მიყენებულ ზარალზე არაფერს იტყობინებიან.



## რუისმა ტიტული შეინარჩუნა

ჯონ რუისმა შეინარჩუნა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული WBA-ს ვერსიით. მან 12 რაუნდიანი შეხვედრა ფრედ დაამთავრა ოდესღაც ძლიერ ევანდერ ჰოლიფილდთან. ერთმა მსაჯმა გამარჯვება რუისს მიაკუთვნა, მეორემ ჰოლიფილდს, მესამემ კი ჩათვალა, რომ ბრძოლა იყო თანაბარი და ფრე დააფიქსირა.

მოსაწყენი შეხვედრა იყო და მცირერიცხოვანმა მაყურებელმა, რომელიც მივიდა ამ ორთაბრძოლის სანახავად, მოკრივეებს სტვენა დაუწყო.

## ბურიაკი – უკრაინის ნაკრების მწვრთნელი

უკრაინის ფეხბურთის ალმასკომის სხდომაზე გაირკვა უკრაინის ნაკრების ახალი მწვრთნელის ვინაობა – წარსულში ცნობილი ფეხბურთელი ლეონიდ ბურიაკი, 20 წევრიდან მას ხმა მისცა 18-მა. მიროსლავ ბლაჟევიჩის კანდიდატურას ხმა მისცა 1 წევრმა, ხოლო მიხაილ ფომენკომ მოხსნა თავისი კანდიდატურა. ახალი მწვრთნელის კონტრაქტი ორწლიანია.

ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა ანატოლი კროშენკო.



ლეონიდ ბურიაკი

## მარქარიანი – „პანათინაიკოსის" სათავეში

ურუგვაელი სერხიო მარქარიანი იქნება ათენის „პანათინაიკოსის" ახალი მთავარი მწვრთნელი. ათენის გუნდის პრეზიდენტს ანგელოს ფილიპიდესა და მარქარიანს შორის გაფორმდა 18-თვიანი კონტრაქტი. მანამდე მარქარიანი პარაგვაის ნაკრებს წვრთნიდა და მისი ხელმძღვანელობით ნაკრებმა მოიპოვა კორეა-იაპონიის საგზური, მაგრამ მიუხედავად ასეთი წარმატებისა, გაათავისუფლეს თანამდებობიდან.

**ფეხბურთი**

## ქვეყნები, თასები

**საფრანგეთი**

**1/32 ფინალი**

ნანსი — ნიორი 3-1 (დ.დ.)
მეცი — გრენობლი 5-0
მონპელიე — მარტიგი 3-2
ტრუა — ნიცა 0-0 (2-0 პენ.)
ბასტია — ნანტი 3-1
სტრასბური — ლე მანი 3-1
ლე ჰავრი — ნიმი 0-0 (3-5 პენ.)
მილო — აიაჩო 0-1
შალონი — სედანი 2-3 (დ.დ.)
მარსელი — სენტო ლო 2-0
მონტანარდი — კაენი 2-1
სენტ პრისტი — ოსერი 0-0 (5-3 პენ.)
ორილაკი — შანეი 1-3 (დ.დ.)
დუე — ლორიანი 1-3
დე მულინო — ავიონი 1-0
დიბურნი — ლილი 2-0
კროცვალდი — სენტ მორი 2-3
ვალანსიენი — ლანსი 0-1
ბალმა — რენი 0-1
ლა-როში — კლერმონი 1-0 (დ.დ.)
ფონტენეი — ლავალი 0-1
ლა ფლეში — შატორუ 0-1
ბულონი — სოშო 1-5 (დ.დ.)
ვესული — მონაკო 2-3 (დ.დ.)
ტური — გინგამი 2-2 (1-4 პენ)
სენტ მალო — ლიონი 0-6
ლუანი — სტ. ეტიენი 1-0
ფრეჟუ — ბორდო 0-6
იზორი — კანი 2-1
ტრელისაკი — ამიენი 0-1
რეიმსი — რასინგი 1-0
ლუკონი — პსჟ 0-2

**ფეხბურთი**

## ფეხბურთი და დოპინგი ერთმანეთს მუშტს უღერებენ

ბოლო ხანებში ევროპის საფეხბურთო კლუბების წამყვანმა სპორტსმენებმა პროტესტი გამოთქვეს ფეხბურთში დოპინგ-კონტროლის შემოღებასთან დაკავშირებით. ერთის მხრივ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ტესტების დროს შეცდომები იჩენს ხოლმე თავს, მეორე მხრივ იმდენი მედიკამენტებია შეტანილი ანაბოლიკების შემცველთა სიაში, სპორტსმენთა დროული გამოჯანმრთელება ფერხდება, რიგი წამლების მიღების აკრძალვის გამო.

ამასთან, ზოგიერთი წამყვანი საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა ემხრობა იმ აზრს, რომ დოპინგ-კონტროლი უნდა ჩატარდეს ყოველი მატჩის შემდეგ. თუნდაც ეს იყოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი, სხვები ასეთ შემოწმებას მ. ..ათხოვენ, ევროპის და მსოფლიო' ჩემპიონატების, სხვა მნიშვნელოვანი დონის მატჩების შემდეგ. თუ ასეთი შემოწმებები სავალდებულო გახდა ეროვნულ ჩემპიონატში, უმალვე თავს იჩენს ერთი უდიდესი პრობლემა – ზედმეტი ფინანსური ხარჯები. დოპინგ-კონტროლის ჩატარება ძალზე ძვირი ჯდება, საიდან ამდენი ფული კლუბებს? მოკლედ, ეკონომიკური პრობლემა მართლაც ანგარიშგასაწევი არგუმენტია, მაგრამ უკონტროლობაც არ შეიძლება, ნებაზე მიშვებული კლუბებიდან, ვინ იცის ვინ როგორ შეტოპავს დოპინგის სამყაროში. სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ანაბოლიკების მეშვეობით აამაღლონ კლუბებმა თავიანთი ფეხბურთელების ფუნქციური შესაძლებლობები და არა თავდადებული ვარჯიშით. ანაბოლიკებს კი აუცილებლად მიმართავენ ი'' მწვრთნელები, ვისაც ხარვეზები აქვს საწვრთნელ პროცესში და თამაშში.

აი, ასეთი პრობლემის წინაშე დგას დღეს ფეხბურთი. უეფაში ამ საკითხებს მუდამ სიფრთხილით ეკიდებიან, მაგრამ დათმობასაც არავინ აპირებს. შემოწმებები დოპინგზე დაიწყო მაღალი რანგის შეჯიბრებებიდან და სულაც არაა გამორიცხული, რომ იგი სავალდებულო გახდეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვისაც. უდავოა, ფინანსური პრობლემების მოშველიებით, ფეხბურთში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე უეფა და ფიფა უარს არ იტყვიან. ხოლო თუ ვინმეს ფინანსურად უჭირს, ეს კლუბის პრობლემაა. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ფეხბურთის სიწმინდის ნებისმიერ ფასად შენარჩუნება, გარდუვალი ხდება.

## რუსეთი მსოფლიო ჩემპიონია



იტალიაში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი ხელბურთელ ქალთა შორის. პირველად ჩემპიონი გახდა რუსეთის ნაკრები, რომელმაც ფინალში 30:25 სძლია წინა ჩემპიონატის გამარჯვებულ ნორვეგიის გუნდს.

მე-3 ადგილისთვის შეხვედრაში ერთმანეთს შეხვდნენ დანიისა და იუგოსლავიის ნაკრებები, ანგარიშით 42-40 (დ.დ.) გაიმარჯვეს იუგოსლავიელებმა.

საბოლოოდ გუნდები შემდეგნაირად განლაგდნენ: 1. რუსეთი, 2. ნორვეგია, 3. იუგოსლავია, 4. დანია, 5. საფრანგეთი, 6. უნგრეთი, 7. ავსტრია. 8. შვედეთი.



# საბლონი გვესტუმრა

**ბავშვთა ფეხბურთის მწვრთნელთა „ბ“ კატეგორიის სალიცენზიო კურსები გრძელდება, მსმენელებს, შაბათს, უეფას მეორე სტუმარი ეწვია და თეორიული ლექციის შემდეგ პრაქტიკული მეცადინეობაც ჩაუტარა. ამჯერად ჩვენი მწვრთნელების ლექტორი ბელგიის ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკური დირექტორი, სფფ-ს კურატორი უეფაში მიშელ საბლონი გახლდათ. მუშაობის დასრულების შემდეგ, ბელგიელმა ჟურნალისტებისთვისაც მოიცალა და პრესკონფერენციაც გაიმართა.**

***• თქვენი შეხედულება კურსების მიმდინარეობის შესახებ?***

— სრულყოფილი დასკვნისთვის ერთი დღე საკმარისი არ არის, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ კურსების თემატიკა და მსმენელთა შემადგენლობა კარგადაა შერჩეული. დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს პრაქტიკულები. მსმენელებში ენთუზიაზმი იგრძნობა, მომზადების დონეც საკმაოდ მაღალია, მწვრთნელთა ლიცენზირების საქმეში თქვენ პირველ ნაბიჯებს დგამთ, დასაწყისში გარკვეული სირთულეები იქნება, მაგრამ უეფას რეკომენდაციების გათვალისწინებით, ყველაფერი კალაპოტში ჩადგება. იმისთვის, რომ ასეთი კურსები სრულყოფილი იყოს, დრო არის საჭირო. ორგანიზაციის მხრივ სფფ-მ კარგად იმუშავა. ეს უდავოდ მისასალმებელია.

***• თქვენ უეფაში მწვრთნელთა განათლების კურსების მიმდინარეობის შეფასება და შთაბეჭდილებები უნდა წარადგინოთ?***

— ვფიქრობ, დასკვნებს სრული ანალიზისა და შესწავლის მეორე კურსების შემდეგ წარვადგენ. პროგრამის მიმდინარეობის საბოლოო შეფასებას „ჯირა“ — კომისია გააკეთებს ჩვენი წარდგინების შემდეგ. მსვლელობას თუ მივყვებით და დღევანდელი გადასახედიდან შევხედავთ, გარკვეული დროის შემდეგ თავისუფლად შეგეძლებათ „ბ“ კატეგორიიდან ლიცენზირების „ა“ კატეგორიაზე გადახვიდეთ.

***• შეკითხვაზე, თუ როდის ჩატარდება მეორედ ლიცენზირება, კურსის ხელმძღვანელმა გაიოზ დარსაძემ უპასუხა.***

— შემდეგი კურსი 3-28 ივნისს გაიმართება. თანდათან ჩამოვყალიბდებით, გამოცდილებას შევიძენთ, გავიაზრებთ თუ რა როგორ უნდა ვაკეთოთ, რომ კონვენციაში გავწერიანდეთ.

***• შეკითხვა მიშელ საბლონს: განგვიმარტეთ „ჯირა“ პროექტის რაობა.***

— ჯირა ჩეხი მწვრთნელი გახლდათ. მწვრთნელთა ლიცენზირების ერთიანი სისტემის ჩამოყალიბების იდეა მას თორმეტი წლის წინ მოუვიდა. ეს პროექტი და სისტემა დღესაც აქტუალურია. მისი გარდაცვალების შემდეგ პროექტს მისი სახელი ეწოდა. სისტემის ამოქმედებისა და განხორციელების შემდეგ ჩამოყალიბდა კონვენცია.

***• პოსტ საბჭოთა ქვეყნებში კურსები სად განხორციელდა?***

— პირველად რუსეთში ჩატარდა, მაგრამ ისინი შემდგომ არასწორი გზით წავიდნენ და კურსები, ფაქტობრივად, ჩაიშალა. სოციალისტური ქვეყნებიდან ყველაზე უკეთ ლიცენზირება უნგრეთსა და ბულგარეთში მიმდინარეობს, განსაკუთრებით, უნგრეთში, ფაქტობრივად, ისინი „პროფის“ დონეზე მუშაობენ.

***• თქვენი კარიერა როგორ წარიმართა?***

— თორმეტი წლის მანძილზე მწვრთნელი ვიყავი, ვმუშაობდი ბელგიის ყველა ასაკობრივ ნაკრებ გუნდებთან. ეროვნულ ნაკრებში საქ[illegible] ჩემპიონატზე (1986-1994 წლებში) ვიყავი გი ტისისა და პოლ ვან ხიმსტის თანაშემწე.

***• ისევ კურსებს დავუბრუნდეთ...***

— კურსების სრულყოფილად მოსაწყობად დიდი სამუშაო უნდა ჩატარდეს. უპირველესად უნდა მომზადდეს თვით ის პიროვნება, ვინც კურსებს უხელმძღვანელებს, სწორედ ამიტომ უეფა მწვრთნელთა განათლების დირექტორთა სემინარებს ყოველწლიურად აწყობს. მისასალმებელია, რომ თქვენი კურსების ხელმძღვანელი გაიოზ დარსაძე, ყველა სემინარს დაესწრო და კურსების წარმართვის გამოცდილებაც მიიღო. ახლაც მასთან განსაზღვრულ სამუშაოებს ჩავატარებთ, და გარკვეულ მინიშნებებს და რეკომენდაციებს მოგცემთ, რაც შემდგომ მუშაობაში გამოგადგებათ.

მწვრთნელთა განათლების მუდმივმოქმედი კურსების დაფუძნება საქართველოში მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლების საწყისი ეტაპია. მომავალში დადგება საკითხი უეფას კონვენციაში საქართველოს გაერთიანებისა მას შემდეგ, რაც სფფ შეასრულებს უეფას მწვრთნელთა განათლების პროგრამის შესაბამის მოთხოვნებს.

# მიქელაძეს ფანიაშვილი ჩაენაცვლა


ლევან ფანიაშვილი

წლეულს, ფიფას ტოპ კლასის ასისტენტთა კურსებში მონაწილეობა მიიღო ქართველმა მსაჯმა ლევან მიქელაძემ. გაისად, 11-15 თებერვალს, მონაკოში, ერთობლივი კურსები ჩაუტარდებათ ფიფას ტოპ კლასის არბიტრებსა და ახალ საერთაშორისო მსაჯებს, მათ რიცხვშია ჩვენი მსაჯი ლევან ფანიაშვილი, რომლისთვისაც ეს კურსები, ფაქტობრივად, კვალიფიკაციის ამაღლების ტოლფასია. კურსები ერთგვარი გამოცდილების გაზიარებაა ტოპ კლასისა და ახალ საერთაშორისო მსაჯებს შორის. ქართველი მსაჯის, კონკრეტულად ლევან ფანიაშვილის იქ მიწვევა მის მზარდ ცოდნასა და ავტორიტეტზე მიუთითებს. ლევანი კურსებზე თავის გამოცდილ და ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად ჩააბარებს „კუპერის“ და ინგლისური ენის ტესტებს, მოისმენს ლექციებს, მონაწილეობას მიიღებს დისკუსიებში და გაეცნობა ახალ ინსტრუქციებს.

ფიფა, ფაქტობრივად, ასეთი სახის კურსებით ტოპ კლასის არბიტრებს ცვლას უმზადებს, იგი ახალგაზრდა არბიტრების გამოვლენის, მათი ცოდნის გაღრმავების ერთ-ერთი ეტაპია.

# კობამ ბიჭები შეკრიბა

**გახსოვთ, ალბათ, წლეულს 14-19 ოქტომბერს საქართველოს 17 წლამდელთა ჭაბუკ ნაკრებმა თბილისში გამართული 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მოუგო ბოსნიისა და ისრაელის ნაკრებ გუნდებს და გაისად დანიაში გასამართ ფინალურ ტურნირში ითამაშებს. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა კობა ჟორჟიკაშვილმა ფინალისთვის მოსამზადებლად თადარიგი აქედანვე დაიჭირა და ჭაბუკთა შეკრება ბრძანა. ნაკრები „ნორჩი დინამოელის“ ბაზაზე ორკვირიან საწვრთნელ შეკრებას გაივლის. 14-28 დეკემბრის სავარჯიშო პროცესი, წლეულს, ბოლო თავყრილობა იქნება ნაკრებისათვის, მერე კი სამომავლო გეგმებიც და საწვრთნელი გრაფიკიც გამომზეურდება. გუნდის შეკრებაზე ძირითადად ის ფეხბურთელები არიან გამოძახებულნი, ვინც ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის საგზური მოიპოვა, თუმცა ნათელია, გაისად ნაკრებში სიახლეც იქნება. წვრთნა კი გაგრძელდება.**

# ბაკურიანიდან უცხოეთისაკენ

ქართულ ფეხბურთში ხანგრძლივი არდადეგების ჯერ მხოლოდ დასაწყისია, მაგრამ სამომავლო გეგმებზე ფიქრი უმაღლესი ლიგის კლუბების მწვრთნელებს მაინც არ ასვენებს. ასლან ბალაძე ზღვისპირულ „დინამოს“ 20 დეკემბრამდე ავარჯიშებს, მერე ორი კვირით დაასვენებს.

„ბათუმის დინამომ“ ძირითადი ბირთვი შეინარჩუნა. გუნდი გაისად პირველად 4 იანვარს შეიკრიბება, 20 იანვრამდე ბათუმში ივარჯიშებს, მზადებას ათი დღით ბაკურიანში გააგრძელებს. სეზონის განახლებამდე ბოლო საწვრთნელ შეკრებას ბულგარეთში გაივლის.

„ვიტ ჯორჯია“ 26 დეკემბერს ევროპული შობა ახალი წლის შემდეგ შეიკრიბება. ხუთი დღე „ფიზიკაში“ გაივარჯიშებს. 16 იანვარს გოჩა ტყებუჩავა ვიტელებს ბაკურიანის გზას გაუყენებს. ბათუმელთა მსგავსად, ათი დღით. თებერვალი თითქმის მთლიანად [illegible] ბულგარეთულ საწვრთნელ ტურს დაეთმობა. 20 თებერვალს გუნდი საქართველოში დაბრუნდება და მოსამზადებელ ეტაპს შინ დაასრულებს.

# ფეხბურთი და დოპინგი ერთმანეთს მუშტს უღერებენ

**ბოლო ხანებში ევროპის საფეხბურთო კლუბების წამყვანმა სპორტსმენებმა პროტესტი გამოთქვეს ფეხბურთში დოპინგ-კონტროლის შემოღებასთან დაკავშირებით. ერთის მხრივ შეშფოთებას იწვევს ის, რომ ტესტების დროს შეცდომები იჩენს ხოლმე თავს, მეორე მხრივ იმდენი მედიკამენტებია შეტანილი ანაბოლიკების შემცველთა სიაში, სპორტსმენთა დროული გამოჯანმრთელება ფერხდება, რიგი წამლების მიღების აკრძალვის გამო.**

**ამასთან, ზოგიერთი წამყვანი საფეხბურთო კლუბის ხელმძღვანელობა ემხრობა იმ აზრს, რომ დოპინგ-კონტროლი უნდა ჩატარდეს ყოველი მატჩის შემდეგ. თუნდაც ეს იყოს ეროვნული ჩემპიონატის მატჩი, სხვები ასეთ შემოწმებას მოითხოვენ, ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატების, სხვა მნიშვნელოვანი დონის მატჩების შემდეგ. თუ ასეთი შემოწმებები სავალდებულო გახდა ეროვნულ ჩემპიონატში, უმალვე თავს იჩენს ერთი უდიდესი პრობლემა — ზედმეტი ფინანსური ხარჯები. დოპინგ-კონტროლის ჩატარება ძალზე ძვირი ჯდება, საიდან ამდენი ფული კლუბებს? მოკლედ, ეკონომიკური პრობლემა მართლაც ანგარიშგასაწევი არგუმენტია, მაგრამ უკონტროლობაც არ შეიძლება, ნებაზე მიშვეუბლი კლუბებიდან, ვინ იცის ვინ როგორ შეტოპავს დოპინგის სამყაროში. სულაც არ არის გამორიცხული, რომ სწორედ ანაბოლიკების მეშვეობით აამაღლონ კლუბებმა თავიანთი ფეხბურთელების ფუნქციური შესაძლებლობები და არა თავდადებული ვარჯიშით. ანაბოლიკებს კი აუცილებლად მიმართავენ ის მწვრთნელები, ვისაც ხარვეზები აქვს საწვრთნელ პროცესში და თამაშში.**

**აი, ასეთი პრობლემის წინაშე დგას დღეს ფეხბურთი. უეფაში ამ საკითხებს მუდამ სიფრთხილით ეკიდებიან, მაგრამ დათმობასაც არავინ აპირებს. შემოწმებები დოპინგზე დაიწყო მაღალი რანგის შეჯიბრებიდან და სულაც არაა გამორიცხული, რომ იგი სავალდებულო გახდეს ეროვნული ჩემპიონატის მატჩებისთვისაც. უდავოა, ფინანსური პრობლემების მოშველიებით, ფეხბურთში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლაზე უეფა და ფიფა უარს არ იტყვის. ხოლო თუ ვინმეს ფინანსურად უჭირს, ეს კლუბის პრობლემაა. ჩვენ ისეთ ეპოქაში ვცხოვრობთ, ფეხბურთის სიწმინდის ნებისმიერ ფასად შენარჩუნება, გარდუვალი ხდება.**

**ამ თემაზე კომენტარი ვთხოვეთ ფეხბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის ექიმს დიმიტრი ზაალიშვილს. აი, რა თქვა მან: „როგორც ექიმი, მხარს ვუჭერ სპორტში დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატებში დოპინგ-კონტროლის დანერგვა ნაადრევად მიმაჩნია, ალბათ, ჯერ კონკრეტული და გადამწყვეტი მნიშვნელობის მატჩებით უნდა დაიწყონ. ეროვნულ ჩემპიონატებში მონაწილე კლუბები, ისედაც ფინანსურ ხელმოკლეობას განიცდიან. უეფა თუ დაგვაძალებს, სხვა საქმეა, მაგრამ იქ არ შეიძლება ანგარიში არ გაუწიონ განვითარებად ქვეყნებს. რამდენადაც ვიცი, ჯერ ლაპარაკია, ფიფას წარმომადგენლების მიერ ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდების ფეხბურთელთა შერჩევით მოულოდნელ შემოწმებაზე“.**

**საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ამავე კომიტეტის წევრი პროფესორი**

**ავთანდილ ციბაძე**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

# შალვა კაკაბაძე-65



თითქმის სამი ათეული წელი ედგა სათავეში ლანჩხუთის „გურიას“, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, კაცი-ლეგენდა შალვა კაკაბაძე.

დიდია შალვა კაკაბაძის დამსახურება ქართული ფეხბურთის წინაშე. იგი ცნობილი 35-ე საფეხბურთო სკოლის აღზრდილია. აქ მისი თანაგუნდელები იყვნენ შემდგომ უკვე ლეგენდარული ფეხბურთელები: მიხეილ მესხი, სერგო კოტრიკაძე, შოთა იამანიძე, ზაურ კალოევი, თენგიზ მელაშვილი, ბორის სიჭინავა, ამირან შუბლაძე და სხვები.

1959 წელს, სრულიად ახალგაზრდა, 23 წლის ასაკში, ლანჩხუთის „კოლმეურნეში“ საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ, იქვე დაინიშნა მთავარ მწვრთნელად და ევგრაფ შევარდნაძესთან ერთად, არაერთი „წარმატება მოუტანა „გურიას“.

1966 წელს, 30 წლის ასაკში მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა. მისი ხელმძღვანელობით მოიპოვა „გურიამ“ საკავშირო ჩემპიონატის პირველი ლიგის საგზური. ამაგდარ მწვრთნელს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ლანჩხუთის „გურიის“ უმაღლეს ლიგაში აღზევებისთვის. მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა, შალვა კაკაბაძე დროებით ჩამოშორდა სპორტს.

ქართული ფეხბურთის უდიდესი მოჭირნახულის, საქართველოს რკინიგზის გენერალური დირექტორის და საფეხბურთო კლუბ „ლოკომოტივის“ პრეზიდენტის, აკაკი ჩხაიძის მიწვევით, შალვა კაკაბაძე კვლავ დაუბრუნდა ქართულ ფეხბურთს. 1998 წლის 7 ოქტომბერს იგი თბილისის „ლოკომოტივის“ გუნდის უფროსად დაინიშნა და გვერდში ამოუდგა მაშინდელ მთავარ მწვრთნელს, უნიჭიერეს და ძლიერ დამრიგებელს თემურ მახარაძეს.

შალვა კაკაბაძე გახლავთ საქართველოს ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის და ფეხბურთის ფედერაციის სააპელაციო კომისიის წევრი.

საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 27 ივლისის განკარგულებით, საქართველოში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისა და ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, ფეხბურთის ვეტერანი შალვა კაკაბაძე დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ამჟამად იგი თბილისის „ლოკომოტივი-3“-ის გუნდის უფროსია.

17 დეკემბერს, ბარბარობას, ბატონ შალვას დაბადებიდან 65 წელი შეუსრულდა.

საქართველოს რკინიგზელთა და მეგობრების სახელით ვულოცავთ ბატონ შალვას იუბილეს.

ვაჟა ჯიაურელი

# დღეს კენჭისყრაა



კუს ტბაზე, 18 დეკემბერს, „უიკენდ ქლაბში“ მოეწყობა „ბენდელას“ თასის მე-10 საიუბილეო გათამაშების კენჭისყრა. ბავშვების გუნდების ჯგუფებში განაწილების ცერემონია 12 საათზე დაიწყება, ვეტერანების და ძირითადი ტურნირის გუნდებისა კი 14 საათზე.

# ზეგ სფფ-ს აღმასკომია

20 დეკემბერს, 12 საათზე, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სააქტო დარბაზში, წლეულს, სფფ-ს აღმასკომის ბოლო სხდომა გაიმართება. დეპარტამენტში ქართული საფეხბურთო სამყარო თითქმის სრულად მოიყრის თავს. სამსჯელო და განსახილველი ბლომად იქნება. უპირველესად შევიტყობთ თუ ვინ გაუძღვება ეროვნულ ნაკრებს 2004 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში. დამტკიცდებიან ახალგაზრდული (ოლიმპიური), 17 და 19 წლამდელთა ნაკრები გუნდების მწვრთნელები. დიდი ვნებათაღელვაა მოსალოდნელი ეროვნულ ჩემპიონატში და თასის გათამაშების მატჩებში „სამართლიანი თამაშის“ (ფეირ-პლეის) პრინციპების დაცვის თაობაზე მსჯელობისას. ჩამოყალიბდება სფფ-ს უსაფრთხოების კომიტეტი. დაამტკიცებენ აღმასკომის 2002 წლის სამუშაო გეგმას; განიხილავენ სხვა მნიშვნელოვან და საინტერესო საკითხებს. სხდომას აღმასკომის წევრების გარდა, დაესწრებიან სფფ-ს ყველა კომიტეტის წარმომადგენლები, უმაღლესი ლიგის კლუბების პრეზიდენტები და ჟურნალისტები. მკითხველებს კიდევ ერთხელ შევახსენებთ აღმასკომის დღის წესრიგს:

1. საქართველოს ნაკრებების ევროპის ჩემპიონატების შესარჩევ მატჩებში მონაწილეობის შესახებ.
2. საქართველოს ჩემპიონატისა და თასის მატჩებში ფეირ-პლეის პრინციპების დაცვის შესახებ.
3. 2002 წლისთვის რეგიონებში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისთვის რეგიონული ფედერაციების ფინანსური დახმარების შესახებ.
4. სფფ-ს უსაფრთხოების კომიტეტის შექმნის შესახებ.
5. სფფ-ს აღმასკომის 2002 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.
6. უეფას მიერ სფფ-სადმი მიცემული რეკომენდაციების შესრულების ორგანიზაციულ ღონისძიებათა გეგმის დამტკიცების შესახებ.
7. სხვადასხვა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარატე-დო

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის საინფორმაციო ფურცელი №13 (21) დეკემბერი, 2001 წელი

# კახა ბასილია



მსოფლიოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის დირექტორატის წევრი, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების კურატორი ტრადიციულ კარატე-დოში. საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი,მე-6 დანის მფლობელი.

მსოფლიოს ჩემპიონი იაპონიის აბსოლუტური ჩემპიონი (ერთადერთი არაიაპონელი, რომელიც ფლობს ამ ტიტულს) მსოფლიოსა და ევროპის არაერთგზის პრიზიორი. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი.





მსოფლიოს აღმოსავლური ორთაბრძოლების აკადემიის აკადემიკოსი, საქართველოს თავდაცვის მინისტრის მრჩეველი (პოლკოვნიკი), კავკასიის კაზაკთა ატამანის პირველი მოადგილე (კაზაკთა გენერალ-მაიორი), დაჯილდოებულია ღირსების ორდენით და მედლით სამხედრო მამაცობისთვის.

არც თუ ისე დიდი ხანია, რაც ისტორიას ჩაბარდა ევროპის ჩემპიონატი და უკვე რამოდენიმე დღეში სენსეი კახა ბასილიამ, ჯერ უკრაინას უმასპინძლა, სადაც ის უკრაინის კარატე-დოს ფედერაციის მიწვევით იმყოფებოდა, ჩაატარა ტექნიკური სემინარი და იყო მთავარი კომისარი უკრაინის ჩემპიონატზე.

თბილისში დაბრუნებულმა, ვიზიტით ესტუმრა ფედერაციის ფილიალებს რეგიონებში.

ვიზიტით ესტუმრა ფედერაციის ფილიალებს დასავლეთში, სადაც სპორტსმენებს, მსაჯებს და ინსტრუქტორებს ჩაუტარდათ სასწავლო-საატესტაციო სემინარი და ატესტაციები. სემინარი ჩატარდა ფედერაციის მიერ წლის დასაწყისში მიღებულ ღონისძიებათა კალენდრის მიხედვით, რისი მიზანიც იყო კარატე-დოს განვითარება და პოპულარიზაცია საქართველოში. ინსტრუქტორთა და სპორტსმენთა კვალიფიკაციის ამაღლება რეგიონში. ასევე შემოწმდა და შეფასდა ფილიალების მიერ წლის განმავლობაში ჩატარებული საქმიანობა. მოხდა ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეხვედრები. იმ პრობლემათა განხილვები, რომლებიც დღეს ფილიალების წინაშე დგას. ვიზიტმა, ფედერაციას, პრეზიდენტის აზრით დადებითად ჩაიარა. ბატონმა კახამ დამაკმაყოფილებლად შეაფასა ფილიალების ხელმძღვანელობათა საქმიანობა. ყველა მათგანს მიუთითდა კონკრეტული დავალება და ვადები მათი შესრულებისთვის.

სემინარები ჩატარდა შემდეგი გრაფიკით.



საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტი იმერეთის კარატეს ფედერაციაში



ფოთის საკრებულოს თავმჯდომარე მოგელი ტყებუჩავა და კახა ბასილია



მარცხნიდან: ფოთის კარატე-დოს ფედერაციის პრეზიდენტი ბაჩუკი სულამანიძე, კახა ბასილია, ფოთის მერიის წარმომადგენელი ნუგზარ კაჭარავა

1-2 დეკემბერი - ქუთაისი (ინსტრუქტორი ვაჟა უნგიაძე)

3-4 დეკემბერი - გურია (ინსტრუქტორი მერაბ თურქია)

5-6 დეკემბერი - ფოთი (ინსტრუქტორი ბაჩუკი სულამანიძე)

7-8 დეკემბერი - ბათუმი (ინსტრუქტორი ნოდარ ხაჯიშვილი)

წელს, ქუთაისში და ფოთში გაიხსნა კარატეს სპეციალიზირებული დარბაზები. ქალაქ ქუთაისის დარბაზი თვით საქართველოს პრეზიდენტმა, ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ მოინახულა.

მომავალ წელს დაგეგმილია ქალაქებში, ლანჩხუთსა და ბათუმში გაიხსნას კარატეს სპეციალიზირებული დარბაზები.

***P.S.* ფილიალების ხელმძღვანელობას, რომელთა მუშაობა დადებითად შეფასდა ფედერაციის პრეზიდენტის მიერ, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ირაკლი მეძმარიაშვილი დააჯილდოვებს საპატიო სიგელებით.**



ქ. თბილისი - არმიის სპორტული კლუბის დარბაზი. 23 დეკემბერს გაიმართება ფინალები

დებულება

*მთავარი ორგანიზატორები:*

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს სპორტის დეპარტამენტი.

## რესპუბლიკური ტურნირი „შოტოკანის თასზე 2001"

*1. მიზანი და ამოცანა:*

*შოტოკან კარატე-დოს პოპულარიზაცია და განვითარება საქართველოში.*

*სპორტსმენთა და მსაჯთა კვალიფიკაციის ამაღლება.*

*2. მონაწილეობისთვის აუცილებელი პირობები:*

მონაწილეობის ლიმიტი განისაზღვრება არანაკლებ - 6 კიუსი.

თითოეულ ასაკში დასაშვებია ორი სპორტსმენი.

***მონაწილეობას მიიღებენ გოგონები და ვაჟები შემდეგ ასაკობრივ ჯგუფებში:***

ინდივიდუალური გოგონებში და ვაჟებში

კატა 10 წლამდე (1-3 ჰყანი) 13 წლამდე (1-3 ჰყანი) 15 წლამდე (1-5 ჰყანი) 18 წლამდე 1-5 ჰყანი) 18 წლის ზევით (1-5 ჰყანი)

კუმიტე 8-9 წელი 10-11 წელი 12-13 წელი 14-15 წელი 16-17 წელი

გუნდური სახეობები გოგონებში და ვაჟებში

კატა. 14 და 18 წლამდე თავისუფალი კუმიტე.

კატებში პირველი წრე დროშებით (გოხაკუ), მეორე წრე ქულებით.

3. დრო და ადგილი:

**21-22 დეკემბერი. დასაწყისი 10.00 სთ-ზე. მის. უნივერსიტეტის ქ. №2 არმიის სპორტული დარბაზი.**

**4. განცხადების მიღების ბოლო ვადა - 2001 წლის 20 დეკემბერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი გამარჯვება



კვარცხლბეკზე ერთი სკოლის წარმომადგენლები ავიდნენ: I. ლევან გორელაშვილი; II. დათო აბრამიშვილი; III. ბექა ხმალაძე. სენსეი ჰიტოში კასუიასთან და ბესიკ ხუციშვილთან ერთად

უკვე ბევრისათვისაა ცნობილი, რომ წელს, 5-6 ოქტომბერს საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციამ, პრეზიდენტი კახა ბასილია, თბილისის სპორტის სასახლეში ჩაატარა ევროპის ჩემპიონატი კარატე-დოში. ქვეყანაში არსებული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მიუხედავად, ჩემპიონატი მსოფლიო სტანდარტების დონეზე ჩატარდა, რაც აღნიშნეს ჩამოსულმა სტუმრებმაც. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც მსოფლიო ფედერაციის შეფ-ინსტრუქტორის, ჰიტოში კასუიას აზრი იყო, რომელმაც თქვა, რომ - აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან საქართველო პირველია, ვინც ასეთი დონის ორგანიზება გაუკეთა ევროპის ჩემპიონატს. მართლაც, ჭეშმარიტ სპორტულ სანახაობას მონატრებულმა ქართველმა გულშემატკივრებმა სპორტის სასახლეში იხილა უცხოეთიდან ჩამოტანილი ძვირადღირებული ტატამები, რომელიც უკვე საქართველოს კარატე-დოს საკუთრებაა. გაჩირაღდნებული ქულების აღმნიშვნელი ტაბლოები, ევროპული ქვეყნების ფერად-ფერადი დროშები, სხვადასხვა ეროვნების მაღალკვალიფიციური მსაჯები და რაც მთავარია, საერთაშორისო კარატეს უმაღლესი კლასის სპორტსმენები, რომლებიც მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის და ნებისმიერი რანგის შეჯიბრს დაამშვენებდნენ. საქართველოს ნაკრებმა ტრიუმფალური გამარჯვება იზეიმა და ქვეყანას მოუტანა ევროპული ოქროს 50, ვერცხლის 21 და ბრინჯაოს 48 მედალი, რის შედეგადაც გუნდური პირველი ადგილი დაიკავა. აღნიშნული ჩემპიონატის პერიპეტიების შესახებ ბევრი დაიწერა და ითქვა, ჩვენ ამჯერად გვსურს მკითველის ყურადღება შევაჩეროთ საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალური სკოლის (53-ე საშ. სკოლა) სპორტსმენების მიღწევებზე. გვესაუბრება ამ სკოლის ხელმძღვანელი, მე-4 დანის მფლობელი ბესიკ ხუციშვილი:

„ჩვენი სკოლა შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ჩამოყალიბების პირველივე დღიდან აქტიურად მონაწილეობდა ფედერაციის ეგიდით გამართულ ნებისმიერ სპორტულ თუ სანახაობრივ ღონისძიებებში, ასევე ყველაზე ხშირად იღებდა მონაწილეობას სენსეი ჰიტოში კასუიას მიერ ჩატარებულ სემინარებზე, რამაც ლოგიკური შედეგი გამოიღო და სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნულ ჩემპიონატზე 3 ოქროს, 3 ვერცხლის და 3 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ცენტრალური სკოლა არა მხოლოდ საქართველოში, ევროპაშიც ერთ-ერთი საუკეთესოა".

შეჯიბრების პირველივე დღეს ევროპის ჩემპიონი გახდა ცენტრალური სკოლის წარმომადგენელი ლევან გორელაშვილი, რომელმაც 12-13 წლის ასაკის ბიჭების კატეგორიაში საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლები ჩაატარა და ინდივიდუალურ კუმიტეში პირველობა არავის დაუთმო. ეს გამარჯვება მოულოდნელი არ ყოფილა, რადგან ლევანი შვიდი წლის ასაკიდან თავდაუზოგავად ვარჯიშობს, მოგებული აქვს უამრავი ჩემპიონატი და უკვე შავი ქამრის, I დანის მფლობელია.

ასევე ოქროს მედლის მფლობელი გახდა დავით აბრამიშვილი, რომელმაც პირველობა მოიპოვა გუნდური ორთაბრძოლების კატეგორიაში 16-17 წლის ჭაბუკებს შორის. დათომ დიდი ალმავლობით ჩაატარა ყველა ბრძოლა, მოიპოვა მნიშვნელოვანი გამარჯვებები და ნაკრები გუნდის სხვა წევრებთან ერთად კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე საქართველოს დროშა აафრიალა.

ცენტრალური სკოლის წარმომადგენლებმა ასევე წარმატებებს მიაღწიეს კატის დისციპლინით გამართულ პაექრობაში, სადაც 14-17 წლის ჭაბუკებს შორის გუნდური მეორე ადგილი და ვერცხლის მედლები მოიპოვეს - დავით აბრამიშვილმა, ბექა ხმალაძემ და ლევან გორელაშვილმა. მისასალმებელია ის ფაქტიც, რომ ცენტრალური სკოლის მოსწავლეები წარმატებებს აღწევენ, როგორც კუმიტეში (ორთაბრძოლები), ასევე კატაში. კარატეს ნამდვილი არსი, მხოლოდ იმას ესმის, ვინც თანაბრად ფლობს ამ ორივე სახეობას.



I ადგილზე ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი ბესიკ ხუციშვილი



I ადგილზე ლევან გორელაშვილი

აღსანიშნავია ბექა ხმალაძეს წარმატება, რომელიც მებრძოლი სულის პერსპექტიული ახალგაზრდაა.

ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო 8-13 წლის ასაკის გუნდურ კატაში გამართულ შეჯიბრზე.ცენტრალური სკოლის წარმომადგენლების გიორგი ლოხიშვილის, თორნიკე და გიორგი ჯიბლაძეების წარმატება, რომლებმაც საპატიო მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ტყუპები ჯიბლაძეები მხოლოდ ახლახანს გახდნენ 8 წლისანი და საერთოდ პირველად გამოვიდნენ შეჯიბრზე, ამ მოულოდნელი გამარჯვებით გამოწვეული სიხარული ყველასთვის გასაგები გახდება.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა ვეტერან კარატისტთა შორის გამართული ორთაბრძოლები, სადაც ძირითადად ორმოც წელს გადაცილებული, მაღალი დანის მფლობელი ინსტრუქტორები მონაწილეობდნენ. საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციის ცენტრალურმა სკოლამ აქაც არ შეირცხვინა თავი და ჩემპიონის ოქროს მედალს თვით სკოლის შეფ-ინსტრუქტორი, ბესიკ ხუციშვილი დაეუფლა. ამ გამარჯვებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ის ფაქტი, რომ კარატეს ინსტრუქტორი ნებისმიერ ასაკში უნდა ინარჩუნებდეს სპორტულ ფორმას, შეეძლოს ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრზე წარმატების მიღწევა და ახალგაზრდა თაობისთვის სტიმულის მიცემა.

ასევე მაღალი შეფასება დაიმსახურა თამაზ გორელაშვილმა კარგი მსაჯობისთვის. ფინალურ ორთაბრძოლებზე თვით სენსეი ჰიტოში კასუიამ მოიწვია მსაჯთა ბრიგადაში ბესიკ ხუციშვილი და თამაზ გორელაშვილი, როგორც მაღალკვალიფიციური მსაჯები. ეს უკვე მრავლისმეტყველი ფაქტია.

და ბოლოს, კიდევ ერთხელ ვულოცავთ საქართველოს შოტოკან კარატე-დოს ფედერაციას, მის ხელმძღვანელობას, ყველა მონაწილე სპორტსმენს ამ წარმატებას, ევროპის ჩემპიონატზე და ვულოცავთ ცენტრალურ სკოლას, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა იმ დიდ საქმეში, რასაც საქართველოს გამარჯვება ჰქვია.


## საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია

საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაცია თავის წევრთა ინტერესებს წარმოადგენს საკანონმდებლო ორგანოებში და ხელისუფლებაში. სპორტის დეპარტამენტში, საქართველოს ოლიმპიურ კომიტეტსა და საერთაშორისო სპორტულ ორგანიზაციებში. ქმნის სექციებს, კლუბებს, ტრადიციული კარატე-დოს ცენტრებს, ეხმარება მათ ორგანიზაციულ მეთოდიკურ საქმიანობაში, არეგულირებს მათი მოღვაწეობის იურიდიულ მხარეს. ორგანიზებას უკეთებს სასწავლო-საატესტაციო სემინარებს სპორტსმენთათვის სათანადო საერთაშორისო სერთიფიკატების გაცემით. ახორციელებს ინსტრუქტორთა და მსაჯთა მომზადებასა და ლიცენზირებას საერთაშორისო ფედერაციებში მიღებული ფორმების მიხედვით. ატარებს შოუ-ფესტივალებს და სპორტულ დღესასწაულებს. მათ ვინც დაინტერესდება ჩვენი ფედერაციის საქმიანობით გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე:

ქ. თბილისი, დიმიტრი უზნაძის ქ. №6. ტელ/ფაქსი: 96-31-89.
საქართველოს კარატე-დოს ეროვნული
ფედერაციის ცენტრალური ოფისი

空手道



## სტუდენტური სპორტი

USFRG

ყურადღება!
საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის ხელშეწყობით გამოვიდა გაზეთი „სტუდენტური სპორტი". გაზეთი გამოდის თვეში ერთხელ.
მასში შეგიძლიათ წაიკითხოთ და გაიგოთ, როგორც სტუდენტური სპორტის, ისე მთლიანად სტუდენტების ცხოვრება-მოღვაწეობა.
ასევე დიდი სპორტის ახალი ამბები.

იკითხეთ გაზეთი „სტუდენტური სპორტი" - გაახალგაზრდავდით!


მომზადებულია საქართველოს კარატე-დოს ეროვნული ფედერაციის პრესცენტრის მიერ

# ცნობილ მწვრთნელთა აღზევება და დაცემა



მარცხნიდან: არიგო საკი, დანიელ პასარელა, როჟე ლემერი, ვისენტე დელ ბოსკე

იმ ჯგუფის მწვრთნელებიდან, რომლებიც „კონცეპტუალისტებად“ დასახელდნენ, ყველაზე მკაფიო ფიგურაა არიგო საკი. მას შეეძლო საათობით ესაუბრა თუ როგორი სურდა ეხილა თავისი გუნდი. ამასთან, ხელმძღვანელობდა რა იტალიის ნაკრებს 1994 წლის მსოფლიო და 1996 წლის ევროპის ჩემპიონატებზე, ის ყოველთვის შოკში აგდებდა ქვეყანას ამ ტურნირებისთვის ფეხბურთელთა შერჩევისას. იტალიელები გულუბრყვილოდ მიიჩნევდნენ, რომ „სკუადრა აძურას“ ღირსება უნდა დაეცვა მხოლოდ უძლიერეს ფეხბურთელებს, საკი კი აუღელვებლად პასუხობდა, რომ მის გუნდში ითამაშებენ მხოლოდ ის ფეხბურთელები, რომლებიც ესადაგებიან ფეხბურთის მისეულ გაგებას. შედეგებს, რომელიც მისმა გუნდმა მიაღწია, პირდაპირ უნდა ითქვას, პარადოქსალური იყო: საკმაოდ უღიმღამოდ გამოიყურებოდა ნაკრები აშშ-ში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატში და მაინც, ფინალამდე მიაღწია. შემდეგ კი, პირიქით, მკაფიო ფეხბურთი აჩვენა „ევრო-96“-ზე და იტალიელები ჩემპიონატს ჯგუფური ტურნირიდან გამოეთიშნენ. ამ, სეზონში საკი შეეცადა დაბრუნებოდა აქტიურ საფეხბურთო ცხოვრებას, მაგრამ „პარმას“ საჭესთან ყოფნისას, ორი მატჩის ჩატარების შემდეგ, საკუთარი ნებით მოიხსნა მწვრთნელის მოვალეობა ჯანმრთელობის მომიზეზებით.

დაახლოებით ასეთივე სცენარით წარიმართა არგენტინელ დანიელ პასარელას სამწვრთნელო ბედი, რომელსაც მუდამ უყვარდა დისკუსიები თეორიულ თემაზე, მაგრამ მიაღწია რა კარიერის სტარტზე „რიველ პლეიტში“ მუშაობისას წარმატებას, ზედიზედ იღებდა დარტყმებს ზღვარდაუდებელი პატივმოყვარეობისთვის. 1988 წლის მსოფლიო ჩემპიონატში, ალბათ, ვერვინ შეიცნო რა სურდა პასარელას მის განკარგულებაში მყოფი დიდებულ ფეხბურთელთა ჯგუფისგან. შემდეგ კი სამხრეთ ამერიკის ნაკრებთან მუშაობისას, მისდა საუბედუროდ, იქაც ბევრი ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელი აღმოჩნდა, რომლებმაც არ იცოდნენ, ან არ უნდოდათ სცოდნოდათ, თუ რა სურდა მათგან დამრიგებელს. ბოლოს და ბოლოს, არგენტინელი იძულებული გახდა დაეტოვებინა ურუგვაის ნაკრები ყველაზე გაგანია შესარჩევ კამპანიაში.

კარგია ეს თუ ცუდი, ახალ საფეხბურთო რეალიებში ყველაზე უკეთ თავს გრძნობენ ის სპეციალისტები, რომლებიც არ ხმაურობდნენ თავისი სამწვრთნელო განსწავლულობით და ხელს არ უშლიდნენ მაღალი კლასის ფეხბურთელებს. ასეთი მწვრთნელები ხშირად კარგი ფსიქოლოგებიც არიან, მათ არ უძნელდებათ საერთო ენის გამონახვა ფეხბურთელებთან, შეეძლოთ განეწყოთ გუნდი კონკრეტული თამაშისთვის. ამ თაობის მწვრთნელთა განსახიერებად შეიძლება ჩაითვალოს საფრანგეთის ნაკრებში როჟე ლემერი და ვისენტე დელ ბოსკე მადრიდის „რეალში“. მათი გუნდების თამაში მოწონებას იმსახურებს გულშემატკივრებში, და მუდამ რჩება ადგილი იმპროვიზაციისთვის. ფეხბურთელები აზროვნებენ და არასტანდარტულად მოქმედებენ მინდორზე. ასეა საფრანგეთის ნაკრებში, ასეა „რეალში“. საფეხბურთო ანალიტიკოსები იოლად ჩამოთვლიან ზიდანის, ლუიშ ფიგუს, თუნდაც რობერტო კარლოსის საფეხბურთო ღირსებებს, მაგრამ გაუძნელდებათ რაიმე თქვან დელ ბოსკეს ან ლემერის სამწვრთნელო კონცეფციაზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათი გუნდები თამაშობენ თეორიული ცოდნის დიდი მარაგით, რომელიც მსოფლიოს ფეხბურთმა დააგროვა ბოლო ათწლეულში, ახლა სულაც არაა საჭირო რაიმე რევოლუცია, ანდა, გადატრიალება. დღეს აქცენტი კეთდება მოთამაშეებზე და არა ფეხბურთელებზე.

სულაც არ ვამბობთ იმას, რომ დღეს მწვრთნელთა როლის დამცირება მსოფლიო ფეხბურთში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ მიდის. უბრალოდ, №1 სპორტის საქმე დღეს ასეა და ის სპეციალისტები, რომლებსაც არ სურთ ეს გაიგონ, საბოლოო ჯამში მსოფლიო ფეხბურთის პროცესებიდან განზე გამდგარნი აღმოჩნდებიან. მაგრამ გავა ხუთი წელი ან ცოტა მეტი, მოიხედავ და „მწვრთნელი-კონცეპტუალისტები“ ისევ მოდაში იქნებიან. თანამედროვე ფეხბურთში ხომ ყოველაერი ასე სწრაფად იცვლება, ისევე სწრაფად, როგორც თვით ცხოვრება.

**სერგეი სოკოლოვსკი**

*დასასრული.*

*დასაწყისი იხ. „ლელო“ №98.*

# ჩემპიონატები, მატჩები, შედეგები...

## გერმანია

***ჰერტა — ლევერკუზენი 2-1***

1-0 ნოიენდორფი (18), 1-1 ნოივილი (37), 2-1 დარდაი (62)

***მიუნხენი — მიონხენგლადბახი 2-2***

0-1 კორზინეცი (21), 1-1 მაქსი (23), 1-2 ვან ლენტი (26), 2-2 მაქსი (42).

***ნიურნბერგი — ზტ პაული 0-0***

***ვერდერი — დორტმუნდი 1-1***

1-0 ფრინგსი (40), 1-1 ევერტონი (56)

***კიოლნი — კოტბუსი 0-0***

***ჰამბურგი — ფრაიბურგი 1-1***

1-0 პრეგერი (30), 1-1 მიულერი (69)

***ჰანზა — ბაიერნი 1-0***

ჰირში (86)




***ვოლფსბურგი — შალკე 3-1***

1-0 კლიმოვიჩი (51), 2-0 მარიჩი (60), 2-1 ვილმოტსი (65), 3-1 მარიჩი (73 პენ)

***კაიზერსლაუტერნი — შტუტგარტი 2-2***

1-0 რატინიო (5), 1-1 მაისნერი (32), 2-1 ლოკვენცი (63), 2-2 კირანი (87).

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლევერკუზენი | 17 | 12 | 3 | 2 | 43-21 | 39 |
| დორტმუნდი | 17 | 12 | 2 | 3 | 28-10 | 38 |
| კაიზერსლაუტ. | 17 | 11 | 2 | 4 | 37-22 | 35 |
| ბაიერნი | 17 | 10 | 3 | 4 | 34-11 | 33 |
| ვერდერი | 17 | 10 | 3 | 4 | 28-17 | 33 |
| ჰერტა | 17 | 9 | 4 | 4 | 27-20 | 31 |
| შალკე | 17 | 7 | 5 | 5 | 20-20 | 26 |
| შტუტგარტი | 17 | 6 | 6 | 5 | 20-18 | 24 |
| მიუნხენი | 17 | 7 | 3 | 7 | 23-29 | 24 |
| ვოლფსბურგი | 17 | 6 | 4 | 7 | 29-25 | 22 |
| ჰანზა | 17 | 5 | 4 | 8 | 16-22 | 19 |
| ფრაიბურგი | 17 | 4 | 6 | 7 | 20-27 | 18 |
| ჰამბურგი | 17 | 4 | 5 | 8 | 20-27 | 17 |
| მიონხენგლად. | 17 | 3 | 7 | 7 | 19-26 | 16 |
| კოტბუსი | 17 | 3 | 5 | 9 | 13-28 | 14 |
| კიოლნი | 17 | 3 | 4 | 10 | 11-28 | 13 |
| ნიურნბერგი | 17 | 3 | 3 | 11 | 12-31 | 12 |
| ზტ. პაული | 17 | 1 | 5 | 11 | 16-34 | 8 |

## ინგლისი

***ბოლტონი — ჩარლტონი 0-0***

***ევერტონი — დერბი 1-0***

მური (76)

***მიდლსბრო — მანჩესტერი 0-1***

ვან ნისტელროი (75)

***ნიუკასლი — ბლექბერნი 2-1***

0-1 დაფი (34), 1-1 ბერნარი (65), 2-1 სპიდი (70)

***საუთჰემპტონი — სანდერლენდი 2-0***

ქრედოკი (43 საკ.კარში), პახარსი (67)

***ტოტენჰემი — ფულემი 4-0***

ფერდინანდი (20), ანდერტონი (40), დევისი (71), რებროვი (77).

***ვესტ ჰემი — არსენალი 1-1***

1-0 კანუტე (36), 1-1 ეშ. კოული (39)

***ლიდსი — ლესტერი 2-2***

1-0 კიუელი (7), 2-0 ვიდუკა (59), 2-1 დინი (78), 2-2 სკოუკროფტი (88).

***ჩელსი — ლივერპული 4-0***

ლე სო (3), ჰასელბანკი (28), დალა ბონა (71), გუდიონსენი (90).

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 16 | 10 | 3 | 3 | 25-15 | 33 |
| არსენალი | 16 | 8 | 6 | 2 | 34-18 | 30 |
| ნიუკასლი | 16 | 9 | 3 | 4 | 27-19 | 30 |
| ლიდსი | 16 | 7 | 8 | 1 | 20-11 | 29 |
| ჩელსი | 17 | 6 | 9 | 2 | 23-12 | 27 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 3 | 6 | 37-27 | 27 |
| ტოტენჰემი | 17 | 8 | 3 | 6 | 29-23 | 27 |
| ასტონ ვილა | 16 | 6 | 6 | 4 | 21-18 | 24 |
| ევერტონი | 16 | 6 | 5 | 5 | 21-19 | 23 |
| ფულემი | 17 | 5 | 8 | 4 | 17-17 | 23 |
| ჩარლტონი | 17 | 5 | 7 | 5 | 21-20 | 22 |
| ბოლტონი | 17 | 5 | 6 | 6 | 20-21 | 21 |
| სანდერლენდი | 17 | 5 | 5 | 7 | 13-17 | 20 |
| ვესტ ჰემი | 17 | 5 | 5 | 7 | 19-29 | 20 |
| ბლექბერნი | 17 | 4 | 7 | 6 | 23-21 | 19 |
| მიდლსბრო | 17 | 5 | 4 | 8 | 17-23 | 19 |
| საუთჰემპტონი | 16 | 5 | 1 | 10 | 17-24 | 16 |
| ლესტერი | 17 | 3 | 5 | 9 | 11-31 | 14 |
| დერბი | 17 | 3 | 4 | 10 | 11-30 | 13 |
| იფსვიჩი | 16 | 1 | 6 | 9 | 14-25 | 9 |

## იტალია

***ინტერი — კიევო 1-2***

0-1 კორადი (20), 1-1 ვიერი (25), 1-2 მარაცინა (55).

***ატლანტა — პარმა 4-1***

1-0 ბერეტა (23), 2-0 სალა (43), 3-0 დონი (58), 4-0 კომანდინი (66), 4-1 მიკუ (68).

***ბოლონია — პერუჯა 2-1***

0-1 ტედესკო (22), 1-1 კაჩა (28), 2-1 ფრეზი (45).

***ფიორენტინა — ბრეშა 1-0***

მორეტი (88)

***იუვენტუსი — პიაჩენცა 2-0***

ფერარა (35), ტრეზეგე (90)

***ლეჩე — ტორინო 1-1***

1-0 ჩიმიროტიჩი (50), 1-1 ლუკარელი (75)

***ვენეცია — უდინეზე 2-1***

1-0 მანიერო (39), 1-1 ელგერა (67), 2-1 ვალტოლინა (76)

***ვერონა — ლაციო 3-1***

1-0 კოლუჩი (22), 2-0 კამორანეზი (43), 2-1 კრესპო (56), 3-1 მუტუ (73).

***რომა — მილანი 1-0***

ტოტი (43)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიევო | 14 | 9 | 2 | 3 | 28-16 | 29 |
| რომა | 14 | 8 | 5 | 1 | 21-9 | 29 |
| ინტერი | 14 | 8 | 4 | 2 | 25-14 | 28 |
| იუვენტუსი | 14 | 6 | 6 | 2 | 22-12 | 24 |
| ლაციო | 14 | 6 | 5 | 3 | 19-10 | 23 |
| მილანი | 14 | 6 | 5 | 3 | 22-16 | 23 |
| ბოლონია | 14 | 7 | 2 | 5 | 11-12 | 23 |
| ვერონა | 14 | 6 | 4 | 4 | 21-19 | 22 |
| ატალანტა | 14 | 6 | 2 | 6 | 20-24 | 20 |
| უდინეზე | 14 | 5 | 3 | 6 | 23-24 | 18 |
| ბრეშა | 14 | 4 | 5 | 5 | 19-24 | 17 |
| პიაჩენცა | 14 | 4 | 3 | 7 | 18-19 | 15 |
| ტორინო | 14 | 3 | 5 | 6 | 16-20 | 14 |
| ლეჩე | 14 | 3 | 5 | 6 | 15-21 | 14 |
| პერუჯა | 14 | 3 | 4 | 7 | 12-18 | 13 |
| ფიორენტინა | 14 | 4 | 1 | 9 | 16-29 | 13 |
| პარმა | 14 | 2 | 5 | 7 | 15-23 | 11 |
| ვენეცია | 14 | 1 | 4 | 9 | 8-21 | 7 |

## ესპანეთი

***რეალი — ხოსიედადი 3-1***

0-1 ხოხლოვი (39), 1-1 კვარმე (45 საკ. კარში), 2-1 რაული (61), 3-1 ფიგუ (78 პენ)

***ესპანიოლი — ვალენსია 2-3***

1-0 პალენსია (24), 2-0 ალექს ფერნანდესი (44), 2-1 რუფეტე (59), 2-2 რუფეტე (63), 2-3 ილიე (66).

***ლას პალმასი — ოსასუნა 1-1***

0-1 არმენტანო (28), 1-1 რუბენი (87).

***ვილიარეალი — ბარსელონა 0-1***

კლიუვერტი (38)

***სელტა — სარაგოსა 2-0***

კატანია (5), გუსტავო ლოპესი (75)

***ვალიადოლიდი — ტენერიფე 0-0***

***ბეტისი — მალიორკა 1-0***

ტომასი (47 პენ.)

***ალავესი — სევილია 0-1***

ხავიერ კასკერო (83)

***მალაგა — დეპორტივო 1-1***

1-0 დარიო სილვა (31), 1-1 ნაიბეტი (77)

***ბილბაო — რაიო 1-1***

0-1 მიჩელი (73), 1-1 ურსაისი (79)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 17 | 9 | 4 | 4 | 32-20 | 31 |
| ბეტისი | 17 | 9 | 4 | 4 | 19-13 | 31 |
| ალავესი | 17 | 9 | 3 | 5 | 19-10 | 30 |
| დეპორტივო | 17 | 9 | 3 | 5 | 30-22 | 30 |
| სელტა | 17 | 7 | 7 | 3 | 33-20 | 28 |
| ბილბაო | 17 | 7 | 7 | 3 | 25-23 | 28 |
| ბარსელონა | 17 | 7 | 6 | 4 | 25-15 | 27 |
| ვალენსია | 17 | 6 | 9 | 2 | 18-14 | 27 |
| სევილია | 17 | 6 | 6 | 5 | 27-21 | 24 |
| ვილიარეალი | 17 | 6 | 4 | 7 | 17-17 | 22 |
| ვალიდოლიდი | 17 | 6 | 4 | 7 | 18-26 | 22 |
| მალაგა | 17 | 5 | 6 | 6 | 19-22 | 21 |
| ესპანიოლი | 17 | 6 | 3 | 8 | 22-29 | 21 |
| ლას პალმასი | 17 | 5 | 5 | 7 | 17-15 | 20 |
| სარაგოსა | 17 | 6 | 2 | 9 | 15-23 | 20 |
| მალიორკა | 17 | 5 | 4 | 8 | 17-23 | 19 |
| ოსასუნა | 17 | 5 | 4 | 8 | 15-23 | 19 |
| ტენერიფე | 17 | 5 | 3 | 9 | 11-19 | 18 |
| ხოსიედადი | 17 | 4 | 3 | 10 | 17-27 | 15 |
| რაიო | 17 | 3 | 3 | 11 | 16-30 | 12 |







## ჰოლანდია

***სიტარდი — ბრედა 2-3***

***ტვენტე — ალკმაარი 0-0***

***გრააფსხაპი — ტილბურგი 1-1***

***როდა — აიაქსი 1-1***

***დენ ბოსხი — ვიტესი 4-1***

***ფეიენოორდი — პსვ 0-0***

***ვალვაიკი — სპარტა 1-1***

***ნაიმეგენი — ჰერენვენი 1-0***

***გრონინგენი — უტრეხტი 2-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 16 | 11 | 2 | 3 | 36-11 | 35 |
| აიაქსი | 16 | 10 | 3 | 3 | 36-19 | 33 |
| პსვ | 18 | 9 | 4 | 5 | 32-23 | 31 |
| ბრედა | 18 | 9 | 4 | 5 | 33-27 | 31 |
| ჰერენვენი | 17 | 8 | 5 | 4 | 29-13 | 29 |
| ვიტესი | 17 | 8 | 5 | 4 | 19-15 | 29 |
| უტრეხტი | 17 | 8 | 4 | 5 | 33-22 | 28 |
| ვალვაიკი | 18 | 8 | 3 | 7 | 26-20 | 27 |
| დენ ბოსხი | 17 | 5 | 7 | 5 | 28-25 | 22 |
| ნაიმეგენი | 18 | 6 | 4 | 8 | 14-30 | 22 |
| ტილბურგი | 18 | 4 | 9 | 5 | 27-29 | 21 |
| ალკმაარი | 18 | 6 | 3 | 9 | 19-23 | 21 |
| როდა | 18 | 5 | 4 | 9 | 18-26 | 19 |
| გრონინგენი | 18 | 5 | 4 | 9 | 20-31 | 19 |
| სპარტა | 18 | 4 | 7 | 7 | 18-34 | 19 |
| გრააფსხაპი | 18 | 5 | 3 | 10 | 22-33 | 18 |
| ტვენტე | 17 | 3 | 8 | 6 | 17-22 | 17 |
| სიტარდი | 17 | 2 | 3 | 12 | 16-40 | 9 |

## პორტუგალია

***ლეირია — ჟილ ვისენტე 2-1***

***ბელენენსეში — გიმარაეში 2-1***

***ბეირა მარი — სანტა კლარა 0-1***

***სალგეირუში — მარიტიმუ 2-1***

***ალვერკა — ფარენსე 1-0***

***სეტუბალი — ფერეირა 1-3***

***პორტო — ბრაგა 0-0***

***ვარზიმი — ბოავიშტა 0-2***

***ბენფიკა — სპორტინგი 2-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპორტინგი | 15 | 9 | 3 | 3 | 35-12 | 30 |
| პორტუ | 15 | 9 | 2 | 4 | 27-12 | 29 |
| ბოავიშტა | 15 | 9 | 2 | 4 | 26-12 | 29 |
| ბენფიკა | 15 | 7 | 7 | 1 | 25-16 | 28 |
| ლეირია | 15 | 6 | 6 | 3 | 27-14 | 24 |
| ბელენენსეში | 15 | 7 | 3 | 5 | 21-21 | 24 |
| გიმარაეში | 15 | 6 | 4 | 5 | 16-16 | 22 |
| მარიტიმუ | 15 | 7 | 0 | 8 | 19-18 | 21 |
| ბრაგა | 15 | 5 | 5 | 5 | 18-12 | 20 |
| ფერეირა | 15 | 5 | 5 | 5 | 20-25 | 20 |
| სტ. კლარა | 15 | 5 | 4 | 6 | 12-18 | 19 |
| ჟილ ვისენტე | 15 | 5 | 3 | 7 | 18-25 | 18 |
| ბეირა მარი | 15 | 4 | 5 | 6 | 26-26 | 17 |
| სალგეიროში | 15 | 5 | 2 | 8 | 14-33 | 17 |
| სეტუბალი | 15 | 4 | 4 | 7 | 18-19 | 16 |
| ალვერკა | 15 | 4 | 3 | 8 | 19-29 | 15 |
| ფარენსე | 15 | 4 | 3 | 8 | 11-22 | 15 |
| ვარზიმი | 15 | 2 | 3 | 10 | 10-32 | 9 |

## საბერძნეთი

***ქსანთი — პანიონიოსი 3-1***

***პანაჰაიკი — ირაკლისი 1-1***

***აკრატიტოსი — ოლიმპიაკოსი 2-3***

***ეგალეო — ეთნიკოსი 1-0***

***პაოკი — ოფი 3-2***

***აეკი — არისი 4-2***

***იონიკოსი — პანათინაიკოსი 0-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აეკი | 10 | 9 | 0 | 1 | [illegible]5-7 | 27 |
| ოლიმპიაკოსი | 10 | 6 | 4 | 0 | 26-12 | 22 |
| ქსანთი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-11 | 18 |
| პაოკი | 10 | 5 | 3 | 2 | 17-13 | 18 |
| არისი | 10 | 4 | 4 | 2 | 13-11 | 16 |
| პანათინაიკოსი | 10 | 4 | 3 | 3 | 23-12 | 15 |
| ოფი | 10 | 4 | 2 | 4 | 11-13 | 14 |
| ირაკლისი | 10 | 3 | 4 | 3 | 11-13 | 13 |
| ეთნიკოსი | 10 | 3 | 2 | 5 | 10-14 | 11 |
| პანიონიოსი | 10 | 2 | 4 | 4 | 13-20 | 10 |
| აკრატიტოსი | 10 | 2 | 3 | 5 | 11-14 | 9 |
| პანაჰაიკი | 10 | 1 | 3 | 6 | 9-23 | 6 |
| იონიკოსი | 10 | 0 | 5 | 5 | 7-17 | 5 |
| ეგალეო | 10 | 1 | 2 | 7 | 11-24 | 5 |

## შოტლანდია

***სელტიკი — დანდი 3-1***

***დანდი იუნ. — აბერდინი 1-1***

***დანფერმლაინი — ჰიბერნიანი 1-0***

***ჰართსი — კილმარნოკი 2-0***

***ლივინგსტონი — სტ. ჯონსტონი 2-1***

***მოზერუელი — რეინჯერსი 2-2***

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 18 | 17 | 1 | 0 | 44-7 | 52 |
| რეინჯერსი | 19 | 11 | 6 | 2 | 42-15 | 39 |
| ლივინგსტონი | 18 | 10 | 6 | 2 | 28-13 | 36 |
| აბერდინი | 19 | 9 | 3 | 7 | 29-28 | 30 |
| კილმარნოკი | 19 | 7 | 3 | 9 | 20-23 | 24 |
| დანდი | 19 | 6 | 5 | 8 | 19-28 | 23 |
| დანდი იუნ. | 19 | 5 | 7 | 7 | 20-32 | 22 |
| ჰართსი | 19 | 6 | 3 | 10 | 23-26 | 21 |
| ჰიბერნიანი | 19 | 5 | 5 | 9 | 26-30 | 20 |
| დანფერმლაინი | 19 | 6 | 2 | 11 | 23-37 | 20 |
| მოზერუელი | 19 | 4 | 6 | 9 | 23-36 | 18 |
| სტ. ჯონსტონი | 19 | 2 | 3 | 14 | 13-35 | 9 |

## თურქეთი

***ფენერბახჩე — ბურსა 3-1***

***გაზიანთეფი — იოზგათი 3-2***

***ანთალია — სამსუნი 1-1***

***დენიზლი — ანკარაგიურ. 3-4***

***გიოზთეფე — ბეშიქთაში 0-6***

***რიზე — ისთანბული 1-1***

***მალათია — დიარბაქირი 1-3***

გენჩლერბირლინგი — ტრაბზონი 1-1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 15 | 11 | 2 | 2 | 38-19 | 35 |
| ფენერბახჩე | 16 | 11 | 1 | 4 | 35-17 | 34 |
| ბეშიქთაში | 16 | 10 | 3 | 3 | 42-22 | 33 |
| გაზიანთეფი | 16 | 8 | 4 | 4 | 24-16 | 28 |
| ისთანბული | 16 | 8 | 3 | 5 | 15-14 | 27 |
| ანკარაგიურ. | 16 | 8 | 2 | 6 | 39-27 | 26 |
| ბურსა | 16 | 8 | 2 | 6 | 22-25 | 26 |
| ტრაბზონი | 16 | 6 | 4 | 6 | 25-21 | 22 |
| ქოჯაელი | 15 | 6 | 4 | 5 | 21-20 | 22 |
| გიოზთეფე | 16 | 5 | 5 | 6 | 13-27 | 20 |
| დენიზლი | 16 | 4 | 6 | 6 | 29-23 | 18 |
| რიზე | 16 | 4 | 6 | 6 | 19-21 | 18 |
| დიარბაქირი | 16 | 5 | 3 | 8 | 24-32 | 18 |
| ანთალია | 16 | 4 | 5 | 7 | 23-35 | 17 |
| იოზგათი | 16 | 4 | 3 | 9 | 21-29 | 15 |
| სამსუნი | 16 | 4 | 3 | 9 | 13-25 | 15 |
| გენჩლერბირ. | 16 | 2 | 6 | 8 | 23-34 | 12 |
| მალათია | 16 | 4 | 0 | 12 | 13-34 | 12 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნბა


ლეიკერსი — გოლდენ სტეიტი

*16 დეკემბერი*

**კლივლენდი — ფილადელფია 91-94**

*კლივლენდი:* პერსონი (28), მილერი (14+22 გადაცემა)

*ფილადელფია:* აივერსონი (40), კოულმენი (13+13 მოხსნა)

**შარლოტი — ბოსტონი 97-106**

*შარლოტი:* უესლი (24), დევისი (18)

*ბოსტონი:* პირსი (30+10 მოხსნა), უოკერი (18+10 მოხსნა)

**დალასი — მინესოტა 125-117**

*დალასი:* ფინლი (30), ნეში (25), ნოვიცკი (21+15 მოხსნა)

*მინესოტა:* შერბიაკი (27), გარნეტი (23)

**მილუოკი — ინდიანა 115-95**

*მილუოკი:* რობინსონი (22), ალენი (21)

*ინდიანა:* ჰარინგტონგი (26), მილერი (15)

**სან ანტონიო — იუტა 100-80**

*სან ანტონიო:* დანკანი (26+10 მოხსნა), დანიელსი (18)

*იუტა:* მელოუნი (31), კირილენკო (15+10 მოხსნა)

**ჰიუსტონი — მაიამი 73-76**

*ჰიუსტონი:* ტომასი (26+11 მოხსნა), მობლი (17)

*მაიამი:* ჯონსი (19), ჯექსონი (15)

**ჩიკაგო — ატლანტა 79-80**

*ჩიკაგო:* მერსერი (15), მილერი (14+13 მოხსნა)

*ატლანტა:* აბდურ რახიმი (20), მოჰამედი (16), ტერი (16)

**დენვერი — ფინიქსი 106-98**

*დენვერი:* ვან ექსელი (24+10 გადაცემა), ლაფრენტცი (19), ლენარდი (19)

*ფინიქსი:* მარბერი (27), როჯერსი (18)

**პორტლენდი — ორლანდო 117-106**

*პორტლენდი:* უოლესი (37+13 მოხსნა), პატერსონი (24)

*ორლანდო:* მაკგრეიდი (36), მილერი (18)

**გოლდენ სტეიტი — მემფისი 93-84**

*გოლდენ სტეიტი:* ჯეიმისონი (20), ფორტსონი (17+15 მოხსნა)

*მემფისი:* უილიამსი (18), სვიფტი (16)

*17 დეკემბერი*

**ტორონტო — ვაშინგტონი 88-93**

*ტორონტო:* კარტერი (23), უილიამსი (17), პიტერსონი (16), დევისი (12+14 მოხსნა)

*ვაშინგტონი:* ჰემილტონი (27), ჯორდანი (21), უიტნი (11)

**კლიპერსი — დეტროიტი 82:77**

*კლიპერსი:* ოდომი (25), მაილსი (14), მაკინისი (12), ბრენდი (10+13 მოხსნა)

*დეტროიტი:* სტეკჰაუზი (26), უილიამსონი (15), რობინსონი (10)

**ნიუ იორკი — ნიუ ჯერსი 96-114**

*ნიუ იორკი:* ჰიუსტონი (23), ჯექსონი (18), კემბი (14), ტომასი (13), სპრიუელი (12)

*ნიუ ჯერსი:* კიტლზი (27), მარტინი (21), კიდი (18+14 გადაცემა), ვან ჰორნი (17).

**საკრამენტო — მემფისი 104-87**

*საკრამენტო:* უებერი (22), უოლესი (20), დივაცი (18)

*მემფისი:* გაზოლი (15+12 მოხსნა), სოლომონი (13), უილიამსი (11)


სიეტლი — ორლანდო

**სიეტლი — ორლანდო 114-91**

*სიეტლი:* პეიტონი (26), ბერი (22), ბეიკერი (19), ლუისი (14)

*ორლანდო:* მილერი (23), ჰადსონი (10)

**ლეიკერსი — გოლდენ სტეიტი 101-85**

*ლეიკერსი:* ბრაიანტი (28), ო'ნილი (20), ჯორჯი (13)

*გოლდენ სტეიტი:* რიჩარდსონი (16), დამპე (15), ჯეიმისონი (12)

# შოთა ახვლედიანი



საქართველოს სპორტულმა სამყარომ კიდევ ერთი უმძიმესი დანაკლისი განიცადა — 88 წლისა გარდაიცვალა ჩვენი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ერთ-ერთი ნიჭიერი ორგანიზატორი, ქართული კალათბურთის ღვაწლმოსილი ვეტერანი, საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენოსანი შოთა ახვლედიანი.

მთელი მისი ცხოვრება სპორტთან იყო დაკავშირებული. დაიბადა ქუთაისში, იქვე, ჭაბუკობიდან დაეუფლა კალათბურთს და 1927 წლიდან მოყოლებული 1944 წლის ჩათვლით 54-ჯერ გახდა გამარჯვებული და პრიზიორი სხვადასხვა გუნდში, მონაწილეობდა მრავალ ამხანაგურ შეჯიბრებაში, იყო სპორტის ოსტატი. შემდეგ სამწვრთნელო მუშაობა დაიწყო და აქაც თავისი წარუშლელი კვალი დატოვა, მსაჯობდა კიდეც, აირჩიეს კალათბურთის საკავშირო სექციის წევრად.

შ. ახვლედიანი იყო მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მძიმე ჭრილობის შემდეგ ჩამოშორდა აქტიურ სპორტს და მთელი თავისი ნიჭი და შესაძლებლობები ქართული სპორტის აღმავლობას შესწირა. დაჯილდოებული იყო მედლებით „გერმანიაზე გამარჯვებისა“ და კავკასიის დაცვისათვის.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო მისი საქმიანობა ჯერ „დინამოში“, შემდეგ საქართველოს სპორტის სახელმწიფო კომიტეტში, სადაც მას წამყვანი პოსტი ეკავა და წარმატებით ხელმძღვანელობდა სპორტულ ღონისძიებათა ჩატარების ორგანიზებას. მას უდიდესი წვლილი მიუძღვის ქართული სპორტის ოქროს ხანის შექმნაში.

მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად შ. ახვლედიანი გამოირჩეოდა ადამიანებისადმი მგრძნობიარე დამოკიდებულებით, შემკული იყო სხვა კეთილშობილური ღირსებებით, რამაც მას საყოველთაო სიყვარული მოუტანა. პენსიაზე გასვლის შემდეგ ხელი მოჰკიდა ქართული სპორტის ისტორიის შედგენას და არაერთი წიგნი დაუტოვა შთამომავლობას.

წავიდა ჩვენგან ქვეყნისა და ერის წინაშე პირნათლად ვალმოხდილი პიროვნება, უსპეტაკესი კაცი. ასეთ ადამიანებს დავიწყება არასოდეს უწერიათ.

საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი

პანაშვიდი: 18-19.XII, 16 სთ. დაკრძალვა 20 XII, 14 სთ. მისამართი: ჭავჭავაძის, 26.

**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოში ფიზკულტურულ-სპორტული მოძრაობის ღვაწლმოსილი ორგანიზატორი, ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწე, ვეტერანი სპორტსმენი, ღირსების ორდენოსანი**

**შოთა ახვლედიანი**

**და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.**

# ჩემპიონი ჩინელია

**დასრულდა ფიდეს ეგიდით მსოფლიო ჩემპიონატი მოჭადრაკე ქალთა შორის. ჩემპიონის ტიტული მოიპოვა ჩინელმა ჩჟუ ჩენმა, რომელმაც ფინალში დაამარცხა რუსი ალექსანდრა კოსტენიუკი — 5:3.**


ჩჟუ ჩენი

# იუმორი



სტადიონი გადაჭედილია. მიმდინარეობს საფეხბურთო მატჩი. ერთი ქალბატონის გვერდით ადგილი ცარიელია, მაგრამ ყველა მსურველს, დაიკავონ ეს ადგილი, ქალბატონი პასუხობს:

— არასდროს! ეს ჩემი ქმრის ადგილია.

— კი მაგრამ, ვინმე ნათესავი მაინც წამოგეყვანათ.

— სამწუხაროდ, ყველა ნათესავი ახლა ჩემი ქმრის პანაშვიდზეა.

* * *

სტადიონთან გამვლელი ეკითხება გაჩერებაზე მდგომ მამაკაცს:

— უკაცრავად, ხომ არ იცით, დღეს მატჩი როგორ დამთავრდა?

— ჩვეულებრივად, მარშით!

* * *

თანამშრომელი — უფროსს: დღეს ადრე წავალ სამსახურიდან, ბიძის პანაშვიდია. უფროსი დათანხმდა. საღამოს უფროსი საფეხბურთო მატჩზე წავიდა და რას ხედავს — ის თანამშრომელი იქვე ახლოს, ტრიბუნაზე ზის.

— ბიძის პანაშვიდზე რატომ არ ხართ? — ირონიულად ჰკითხა უფროსმა.

— ცოტა მოითმინეთ, მატჩი ჯერ არ დამთავრებულა, მსაჯი კი ბიძაჩემია.

* * *

ცოლი — ქმარს:

— მე ვატყობ, რომ შენთვის პირველ ადგილზე ფეხბურთია და არა მე!

— ცდები, ძვირფასო, ჰოკეიც ხომ არსებობს.

* * *

ღამით ცოლმა მეუღლეს გვერდში წაჰკრა.

— რა, ფეხბურთი? — წაიბურდღუნა ქმარმა. ცოლმა ისევ წაჰკრა.

— რა, ჰოკეი? ქალი წამოხტა, აივანზე გავარდა და დაიყვირა:

— არის თუ არა მამაკაცი ამ ქალაქში?

— რაო, დასალევია რამე? — მოესმა პირველი სართულიდან.

* * *

გულშემატკივარი ფეხბურთზე წასასვლელად ემზადება.

— შენი „სპარტაკი“ ჩემზე მეტად გიყვარს — საყვედურობს ცოლი.

— რას ამბობ, შენზე მეტად „დინამოც“ მიყვარს.

# მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები




**18 დეკემბერი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (22.10), ***ევრიკა.*** მსოფლიო სპორტი (10.45, 21. 40), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (20.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (11.30, 13.00, 14.00), ფეხბურთი. ევროგოლები (15.00, 19.30), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა. მსოფლიო ჩემპიონატი (17.30), მძლეოსნობა. მსოფლიო ჩემპიონატი (22.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის კლასიკოსები (23.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00), სუმო. გრანდ-ტური (3.15), ***HTB плюс футбол.*** ფიფას გალა წარმოდგენა (15.00), გერმანიის (18.00, 1.50), ინგლისის (21.30), „არსენალი“ – „ნიუკასლი“ (23.55) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***HTB плюсспорт.*** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.30)

**19 დეკემბერი, ოთხშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** ჩვენი ფეხბურთი (10.05), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 22.30), ***მე-9 არხი.*** ევროპის სტადიონებზე (15.15, 20.00), ***EUROSPORT.*** ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (12.00, 13.30, 14.00 15.45, 18.00, 19.00), ცხენოსნობა: კონკური. ესპანეთი (17.00), საერთაშორისო შეჯიბრება ინგლისიდან (23.45, 0.45). სუმო. გრანდ-ტური, იაპონიიდან (3.15). ***HTB плюс футбол.*** ინგლისის (13.15, 14.40 – „არსენალი“ – „ნიუკასლი“), გერმანიის (16.20, 1.35), იტალიის (17.55, 22.05, 23,25) ჩემპიონატები და მიმოხილვა. ***HTB плюс спорт.*** ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა 16.00, 23.00), კალათბურთი, ევროლიგა (18.25), ძიუდო. რუსეთის ჩემპიონატი (1.15).

**20 დეკემბერი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2,*** ევროპის ქვეყნების საფეხბურთო მიმოხილვა. (19.00), ***ევრიკა.*** „მსოფლიო სპორტი“ (10.45, 21.40), ***EUROSPORT.*** ცხენოსნობა. საერთაშორისო შეჯიბრება (11.30, 1.00), ზამთრის სპორტის სახეობები. მსოფლიო თასი (14.00, 16.30, 17.00), ფეხბურთი: ჩემპიონთა ლიგის კლასიკა (23.00), „ერთი მსოფლიო – ერთი თასი“ (2.15), სუმო. გრანდ- ტური იაპონიიდან (3.15). ***HTB плюс футбол.*** იტალიის (13.15, 14.10, 17.25), გერმანიის (15.50), ჰოლანდიის (23.05) ჩემპიონატები და მიმოხილვა. მსოფლიო ფეხბურთი (22.10, 1.00). ***HTB плюс спорт.*** კალათბურთი: ევროლიგა (11.45), „პანათინაიკოსი“ – რუსეთის ცსკა (23.25), ნბა-ს მიმოხილვა (23.00).

# „ლაგუნა-ვერეს“ საჩუქარი ბავშვებს!

**სააქციო საზოგადოება „ლაგუნა-ვერე“ მოსწავლეთა ზამთრის არდადეგების პერიოდში აწყობს საახალწლო ფასდაკლებას ცურვის შემსწავლელ ჯგუფებში 5-8 წლის მოზარდებისათვის 25 დეკემბრიდან 22 იანვრის ჩათვლით.**

**ადმინისტრაცია**

# კროსვორდი №99



**თარაზულად:** 2. ერთგვარი სამაგიდო თამაში, 3. მძლეოსნობაში დაბრკოლება ანუ... 5. ჩეხეთის საფეხბურთო კლუბი, 6. სენაკის საფეხბურთო კლუბი, 9. საფეხბურთო კლუბი შიდა ქართლში, 10. ცნობილი ქართველი ხელბურთელი, 11. მამათა ზოგი დიდი მონასტრის სახელწოდება, 14. წონის ერთეული მოკრივეთა ხელთათმანის წონის დასადგენად, 15. ცნობილი ფრანგული ფირმა, რომელმაც თბილისში ლუდის წარმოება დაიწყო. 17. სასტუმროების კომპლექსის ცნობილი ფირმა, 19. საფრანგეთის საფეხბურთო კლუბი, 22. ცნობილი საფეხბურთო მწვრთნელის კუპერის სახელი, 24. გერმანიის ქალაქი, 25 ფრანგი ფეხბურთელი.

**შვეულად:** 1. საფრანგეთის ქალაქი, რომელსაც ჰყავს საფეხბურთო გუნდი „ოლიმპიკი“, 2. გუნდურ პირველობაში ოლიმპიური ჩემპიონი ტანმოვარჯიშე ვაჟი, 3. სპორტული პრიზი, 4. ქართველი მსახიობი და მკლავჭიდელი, 7. გამარჯვების ქალღმერთი, 8. აღმოსავლურ ორთაბრძოლებში ოსტატობის შეფასების ხარისხი, 9. ამერიკელი ჩოგბურთელი ქალი, 12. რიგის საფეხბურთო კლუბი, 13. ქართული ცხენოსნური თამაშობა, 16. მექსიკელი ფეხბურთელი, 18. ცხენის ერთგვარი სვლა, 20. რაგბის საერთაშორისო ფედერაციის აბრევიატურა, 21. გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მეკარე.

## კროსვორდი №98-ის პასუხები

**თარაზულად:** 2. აკვრა, 5. ნარდი, 8. წერაყინი, 9. სამბო, 12. სალაძე, 14. ლაუდრუპი, 15. ათლეტი, 16. თეთრაძე, 18. „ბარი“, 19. „კოკა“. **შვეულად:** 1. ტრამპლინი, 3. კანი, 4. „აეკი“, 6. ვეა, 7. წყალბურთი, 9. სასტოლეთი, 10. ჩელებაძე, 11. ასპრილია, 13. ორტეგა, 17. სო, 18. ბა.

# საჭადრაკო ამოცანა

ოთარ მამულაშვილი
(სოფ. კარდენახი)



**შამათი 2 სვლაში**

წინა ნომერში გამოქვეყნებული ამოცანის ამოხსნა:

1. ე8კ!

1. ...მფe2 2. კb5X. 1. ...მფe4 2. კg6X.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14, 99 55 48 97. ინდექსი 66435 INDEX • „ლელოს“ კომპიუტერული ცენტრი: ხელმძღვანელი გურამ სიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.